



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ
მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

ქეთევან ჩოჩიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

**მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის შედარებით-
სამართლებრივი ანალიზი ქართული და უცხოური
კანონმდებლობის მიხედვით**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლია ჭილაშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი

გორი, 1401, საქართველო

2020 წელი

სარჩევი

შესავალი	3
თავი I. მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა ქართულ და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალში.....	5
1.1 მეურვეობისა და მზრუნველობის ცნება და მათი დაწესება.....	5
1.2 მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.....	16
1.3 პირები, რომლებიც შეიძლება დაინიშნონ მეურვედ ან მზრუნველად.....	29
თავი II. მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობანი	37
2.1 მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობანი ქართულ სამართალში	37
2.2 მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობანის რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით	51
თავი III. მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები	58
3.1 მეურვისა და მზრუნველის განთავისუფლება მათი მოვალეობებისგან ქართული კანონმდებლობის მიხედვით	58
3.2 მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლები ქართულ და გერმანულ სამართალში	61
3.3 მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლები ქართულ და გერმანულ სამართალში.....	64
დასკვნა.....	67
გამოყენებული ლიტერატურა:.....	68

ანოტაცია

„მეურვეობა“ და „მზრუნველობა“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტებს წარმოადგენენ როგორც ქართულ, ისე საზღვარგარეთის სამოქალაქო სამართალში. აღნიშნული ინსტიტუტები უძველესი პერიოდიდან გვხვდება და მოიცავენ არამარტო სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ ნორმებსაც.

ვინაიდან მეურვეობისა და მზრუნველობის რეგულირება ყოველდღიურად იხვეწება და იცვლება, თემის აქტუალურობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომი სწორედ აღნიშნული ინსტიტუტების ქართული და უცხოური კანონმდებლობის შედარებით სამართლებრივ ანალიზს ეხება.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომით თანმიმდევრულად არის განხილული მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის წარმოშობის ისტორია, არსი და მნიშვნელობა, მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობანი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები და მეურვეობისა და მზრუნველობის გამწევი პირები როგორც ქართული, ისე ევროკავშირის ქვეყნების სამართლის რეგულაციებისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.

ნაშრომში განხილულია ასევე მეურვისა და მზრუნველის განთავისუფლება მათი მოვალეობებისგან და მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლები, სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი წარმოდგენილია გარკვეული მოსაზრებები მეურვეობისა და მზრუნველობის ზოგიერთ პრობლემურ საკითხზე.

ნაშრომში გამოყენებული კვლევითი მეთოდების გამოყენებით ნაწილობრივ მაინც შევძელით ყურადღება გაგვემახვილებინა იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც მრავლად გვხვდება დღევანდელ რეალობაში.

Annotation

Author of the work K. Chochishvili

“Guardianship” and “custody” are one of the most important institutions in both Georgian and foreign civil law. These institutions are found in ancient times and include not only civil but also administrative norms.

As guardianship and caregiving are improving and changing daily, Depending on the topic's relevance and need, The master thesis deals with the comparative legal analysis of the Georgian and foreign legislation of the mentioned institutions.

With the said master's thesis consistently discusses the origin, essence, and significance of the Institute of Guardianship and Care, Rights and responsibilities of guardians and carers, guardianship and guardianship bodies and guardians and guardians of both Georgian and EU law regulations and case law.

The work also discusses the release of the guardian's caregiver from their duties and the grounds for termination of guardianship and custody. The final part of the master's thesis provides some insights into some of the problematic issues of guardianship and care.

Through the research methods used in the work, we have at least partially been able to focus on the important issues that are often encountered in today's reality.

შესავალი

მეურვეობა და მზრუნველობა წარმოადგენს სამართლის კომპლექსურ ინსტიტუტს, რომელშიც მოცემულია როგორც სამოქალაქო, ისე საოჯახო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმები. მეცნიერთა შორის ამ საკითხთან მიმართებაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ამ ინსტიტუტის რომელიმე დარგისადმი მიკუთვნებისას. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ იგი არის კომპლექსური ინსტიტუტი, რომელიც შეიცავს სამოქალაქო, საოჯახო და ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ იგი არის საოჯახო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც ითვალისწინებს იმ მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების დაცვას, რომელიც განსაკუთრებული ფორმით საჭიროებენ მას. მეცნიერთა მესამე ჯგუფი აცხადებს, რომ აღნიშნული ინსტიტუტი არის სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საოჯახო სამართლებრივ ნორმებთან და ადგენს მეურვეობაში და მზრუნველობაში მყოფ არასრულწლოვანთა აღზრდისთვის აუცილებელ წესსა და პირობებს. ამდენად, პრაქტიკულად შეუძლებელია მათი როგორც სამართლის დამოუკიდებელი დარგების შემადგენელი ნაწილების გააზრება.

ბავშვების (არასრულწლოვანების) აღზრდა და მათზე ზრუნვა სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება პირველ რიგში, მშობლის უფლება-მოვალეობაა, მაგრამ ბავშვი მხოლოდ მშობელს არ ეკუთვნის იგი სახელმწიფოს და საზოგადოების კუთვნილებაცაა. ამ პრინციპიდან გამომდინარე, მათი აღზრდა განიხილება როგორც სახელმწიფო საქმე და მიიჩნევა არამარტო ზნეობრივ, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობადაც, შემდგომში მოვალეობათა წარმოშობით.

სამაგისტრო ნაშრომის საგანს წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა მეურვეობისა და მზრუნველობის სამართლებრივი ასპექტები და მასთან დაკავშირებული საკითხები.

კვლევის მიზანია მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ქართული და უცხოური კანონმდებლობის მიხედვით. აღნიშნული ნაშრომით შევეცადეთ შეგვესწავლა მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობისა და პრეცედენტული სამართლის მაგალითებზე, ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც განიცადა „მეურვეობის“ და „მზრუნველობის“ ინსტიტუტმა წარმოშობიდან დღემდე.

სამაგისტრო ნაშრომის მეთოდურ ნაწილში წარმოადგენს დოკუმენტური ანალიზის მეთოდი. შესაბამისად აღებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის სამართლებრივი ანალიზი და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მასალები. ასევე, დედუქციის, ანალიზის, სინთეზის, წიგნზე მუშაობისა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდები.

ნაშრომის თეორიულ-მეთოდურ ბაზაა ქართველი და უცხოელი მეცნიერ-იურისტების ნაშრომები და პუბლიკაციები მეურვეობასა და მზრუნველობასთან დაკავშირებით. ასევე, კვლევის საინფორმაციო ბაზად გამოყენებულია დარგობრივი საინფორმაციო საიტები და პორტალები, ცნობილი მეთოდური რეკომენდაციები და გამოცდილება. კვლევა შესრულდა როგორც შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალებზე დაყრდნობით.

ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, 6 ქვეთავისა და დასკვნისგან, რომლის საერთო მოცულობა შეადგენს 70 გვერდს. აღნიშნულს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

თავი I. მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა ქართულ და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალში

1.1 მეურვეობისა და მზრუნველობის ცნება და მათი დაწესება

„მეურვეობისა და მზრუნველობის“ ინსტიტუტი ერთ-ერთი უძველესია სამართლის ისტორიაში, რომელსაც კარგად იცნობს ძველი აღმოსავლეთისა და რომის სამართალი. რომაული სამართალი ზრუნავდა იმ პირებზე, რომლებსაც არ ჰყავდათ პატრონი ან მოკლებულნი იყვნენ მამის ხელისუფლებას, რომაული სამართალი ასევე მფარველობდა იმ ქალებს, რომლების მიმართაც შეწყდა ქორწინება, იმ ბავშვებს, რომლებსაც გარდაეცვალა მამა ან ორივე მშობელი და ბოლოს, რომაული სამართალი ზრუნავდა სულით ავადმყოფებზეც.

აქედან წარმოიშვა მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი. ძნელი გასარკვევია, თუ რა განსხვავებაა მეურვესა და მზრუნველს შორის. რომაული სამართლით მეურვეები ენიშნებოდათ განქორწინებულ ქალებსა და არასრულწლოვანებს. მზრუნველები ენიშნებოდათ როგორც სრულწლოვანებს 25 წლამდე, ისე სულით ავადმყოფებს. მეურვეები და მზრუნველები იცავდნენ, განაგებდნენ მეურვეობასა და მზრუნველობაში შესული პირის ქონებას, მის პიროვნებას.

მეურვედ შეიძლებოდა დანიშნულიყო ის პირი, ვინც ახლოს იყო სამეურვეო პირის ოჯახთან. ასეთი პირი შეიძლებოდა ყოფილიყო მისივე ოჯახისა თუ მისივე გვარის წევრი.¹

ვალერიან მეტრეველი აღნიშნავს, რომ ბიზანტიის კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ქალ-ვაჟის მშობლების ან მეურვის თანხმობა იყო. რომის და ბიზანტიის სამართალში ფეხმოკიდებულმა ამ ინსტიტუტმა

¹ მეტრეველი, ვ. (2009). "რომის სამართალი" (საფუძვლები). თბილისი: "მერიდიანი". გვ. 105

კვალი დატოვა კანონმდებლობის განვითარებას როგორც რომის იმპერიაში შემავალ ქვეყნებში, ისე მისი რღვევის შედეგად წარმოშობილ სახელმწიფოებში. შესაბამისად, აღნიშნულმა თავისებური გავლენა იქონია აღმოსავლეთის ქვეყნების კანონმდებლობათა განვითარებაზე და მათ შორის გარკვეულწილად, საქართველოში ჩამოყალიბებულ სამართალზეც.¹

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, საქართველოში მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის განვითარების ისტორია არ ყოფილა ერთგვაროვანი. მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში შედგენილი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძის დავით ბატონიშვილის „სამოქალაქო ჰსჯულდება“ საინტერესო ცნობებს იძლევა მეურვეობის და მზრუნველობის შესახებ. ბატონიშვილის სამართალი იცნობს მეურვეობის ინსტიტუტს, რომელიც ეხება მეურვეობის განხორციელებას სხვადასხვა სფეროში. „ვექილი“ აქ მეურვეს ნიშნავს, რომელიც ენიშნებოდა მხოლოდ ობოლ ბავშვებს.²

მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის განვითარების გზა მოიცავს 1918 წლის 16 სექტემბერს მიღებულ კოდექსს „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონების შესახებ“, რომლის მე-4 თავით განისაზღვრებოდა სამეურვეო სამართლის საკითხები; 1970 წლის 18 ივნისს მიღებულ „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსს“, რომელიც უკვე აწესებდა მეურვეობისა და მზრუნველობის მიზეზებს პირთა ორი ჯგუფის მიმართ, რომელთა ინტერესების დასაცავად იყო მოწოდებული მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტი.

ამჟამად, სპეციფიური მეურვეობის კანონი საქართველოში ძირითადად მდებარეობს 1997 წლის საქართველოს კანონში „საქართველოს სამოქალაქო

¹ მეტრეველი, ვ. (2009). *"რომის სამართალი" (საფუძვლები)*. თბილისი: "მერიდიანი". გვ. 105

² ჯავახიშვილი, ი. (1928). *"ქართული სამართლის ისტორია"*, წიგნი I. ტფილისი: "ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა" http://www.library.court.ge/upload/qasais_1.pdf. გვ. 92

კოდექსში“. მისი დებულებები განსაზღვრავს მეურვეობის ცნებას, პროცესს და პროცედურას მეურვის დანიშვნის, პასუხისმგებელ ორგანოს, რომელსაც შეუძლია დანიშნოს მეურვე, პირების წრეს, ვისაც შეუძლია იყოს დანიშნული როგორც მეურვე, მეურვეობის უფლებებს და მოვალეობებს; მათი დათხოვნის საფუძვლებს და ორგანოს ან პირს, ვის წინაშეც მათი მოქმედებები შეიძლება გასაჩივრდეს.¹

ქართულ სამართალში ტერმინი „მეურვეობა“ და „მზრუნველობა“ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან არა მხოლოდ როგორც ტერმინები, არამედ როგორც სამართლებრივი ინსტიტუტები. მეურვეობა და მზრუნველობა პირველ რიგში არის სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ქმედუნარო და შეზღუდულქმედუნარიანი პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ფართო გაგებით, იგი სამოქალაქო-სამართლებრივი, ხოლო ვიწრო გაგებით კი - საოჯახო სამართლებრივი ინსტიტუტია. მეურვეობასა და მზრუნველობაში იგულისხმება აგრეთვე სახელმწიფოებრივი ზრუნვის ერთ-ერთი ფორმა იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც საჭიროებენ სამართლებრივი დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს. კერძოდ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობას მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირების აღზრდასა და მათი უფლებების დაცვაში. აღნიშნულ გაგებათა ლოგიკურ ერთობლიობას ქმნის მეურვეობა და მზრუნველობა, რომელიც წარმოიშობა ერთი მხრივ, მეურვესა და მზრუნველს და მეორე მხრივ, მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფ პირებს შორის. დარღვეული ან სადავო პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა ხდება კანონით დადგენილი წესით. მაგრამ, იმისთვის, რომ პირი გამოვიდეს თავისი უფლებების დასაცავად, აუცილებელია მას ჰქონდეს სამოქალაქო ქმედუნარიანობა, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს უნარს - თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს სამოქალაქო ვალდებულებები, რაც შესაძლებელია სრულწლოვანების

¹ ფსიქიკური უუნარობის დაცვის ცენტრი (2007). "მეურვეობა და ადამიანის უფლებები საქართველოში, მეურვეობის კანონის და პოლიტიკის ანალიზი".

მიღწევიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონი 18 წლამდე ასაკის პირებს აღიარებს სრულქმედუნარიანად.¹

ამგვარად, მეურვეობისა და მზრუნველობის ძირითადი დანიშნულება არის იმ მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა, რომლებიც ობიექტურ გარემოებათა საფუძველზე, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები და შეასრულონ სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებები.²

საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 1275-ე მუხლით გათვალისწინებულია მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისთვის, ხოლო მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე.

ბავშვს მეურვეობა ან მზრუნველობა უწესდება იმ შემთხვევაში, როდესაც:

- სასამართლო აცნობებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვის ორივე მშობლისთვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ;
- შეჩერებულია მშობლის უფლებები და მოვალეობები;³
- გარდაცვლილია ბავშვის ორივე მშობელი;

¹ შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ). თბილისი: "მერიდიანი"; გვ. 347-348.

² ჭანტურია, ლ.; ზოიძე, ბ.; ნინიძე, თ.; შენგელია, რ.; ხეცურიანი, ჯ. (2000). "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი V. თბილისი: "სამართალი".

³ სოციალური მომსახურების სააგენტო, "მეურვეობა/მზრუნველობის დაწესება" (02.06.2019). http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=91&info_id=769

- ბავშვისთვის დანიშნული მეურვე გარდაიცვალა ან მას ფუნქციები ჩამოერთვა;
- სასამართლო ბავშვს მიტოვებულად აღიარებს;
- მშობელი ქმედუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად არის აღიარებული.

ხოლო სრულწლოვან პირს მზრუნველობა/მხარდაჭერა უწესდება იმ შემთხვევაში, როდესაც:

- სრულწლოვან პირს აქვს მყარი ფსიქიკური გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას თანაბარ პირობებში. ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას, ინფორმირებული და გააზრებულიარჩევანის გაკეთებას, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.
- მზრუნველობა წესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი;
- მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი;¹
- მზრუნველობა უწესდება ასევე პირს, რომელიც დამოკიდებულია ალკოჰოლზე ან ნარკოტიკულ ნივთიერებებზე, რის გამოც ოჯახს მძიმე მატერიალურ

¹ სოციალური მომსახურების სააგენტო, "მეურვეობა/მზრუნველობის დაწესება" (02.06.2019).
http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=91&info_id=769

მდგომარეობაში აყენებს და სასამართლომ აღიარა შეზღუდულქმედუნარიანად.¹

მეურვეობა წესდება არაქმედუნარიანი პირების მიმართ. ასეთია მცირეწლოვანი ბავშვი, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისთვის. ბუნებრივია, მას არ აქვს შესაძლებლობა და არც უფლება იყოს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა მონაწილე. ამიტომ იგი ვერ დაიცავს პირად და ქონებრივ უფლებებსა და ინტერესებს, რაც მას გააჩნია უფლებაუნარიანობის საფუძველზე. მეურვეობა წესდება აგრეთვე იმ პირის მიმართ, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია არაქმედუნარიანად. სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად ედება პირის სულით ავადმყოფობა ან ჭკუასუსტობა. არაქმედუნარიანად შეიძლება გამოცხადდეს როგორც არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე, ისე სრულწლოვანი პირი თვრამეტი წლიდან. ყველა შემთხვევაში ასეთ პირთა მიმართ წესდება მეურვეობა. სულით ავადმყოფებსა და ჭკუასუსტებს არ შეუძლიათ გონებრივად მოიქცნენ, ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებას და წარმართონ იგი კანონის მოთხოვნათა და თავიანთი ინტერესების შესაბამისად, რის გამოც ისინი აღიარებულ იქნენ არაქმედუნარიანებად. იგივეს თქმა არ შეიძლება შვიდ წლამდე ასაკის ბავშვების მიმართ. მართალია, მათი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების დონე არ იძლევა სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის შესაძლებლობას. მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მცირე საყოფაცხოვრებო ხასიათის ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება გააჩნიათ. მხოლოდ სერიოზულ ურთიერთობებში ენაცვლება მათ მეურვე.²

საბოლოო ჯამში, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ქმედუნარო პირების ნაცვლად იურიდიული ხასიათის მოქმედებებს მათი ინტერესებიდან

¹ სოციალური მომსახურების სააგენტო, "მეურვეობა/მზრუნველობის დაწესება" (02.06.2019). http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=91&info_id=769

² ჭანტურია, ლ.; ზოიძე, ბ.; ნინიძე, თ.; შენგელია, რ.; ხეცურიანი, ჯ. (2000). "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი V. თბილისი: "სამართალი". გვ. 302-303

გამომდინარე, ასრულებენ მეურვეები. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ყველა შემთხვევაში ქმედუუნარო პირები, რომლებსაც უწესდებათ მეურვეობა, კვლავაც რჩებიან საოჯახო და სხვა სახის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებად.¹

2019 წლის 9 თვის მანძილზე სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ მეურვეობა/მზრუნველობა დაწესდა შემდეგნაირად:

- 0-დან 7 წლამდე ასაკის პირზე - 1 შემთხვევა;
- 7-დან 18 წლამდე ასაკის პირზე - 15 შემთხვევა;
- ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სრულწლოვან პირებზე მზრუნველობის დაწესება (18 წლის ზემოთ) – 4 შემთხვევა.²

ევროპის ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობა მხარს უჭერს პირის არა ზოგადად ქმედუუნაროდ, არამედ იმ ნაწილში ქმედუუნაროდ გამოცხადებას, რისი განხორციელების უნარიც არ შესწევს და მეურვე ინიშნება კონკრეტული მიზნით, მაგალითად: გადაადგილებაში, საოჯახო საქმეების შესრულებაში, ფინანსების განკარგვის საქმეში და ა.შ. დასახმარებლად, ანუ სასამართლო ადგენს პირის სრულ ან ნაწილობრივ ქმედუუნარობას.

ზოგ ქვეყანაში ქმედუუნარობა გულისხმობს სამართლებრივი მოქმედებების განხორციელების სრულად ან ნაწილობრივ აკრძალვას, ზოგან კი ორზე მეტი ვარიანტიაა გათვალისწინებული. შედარებისთვის მოგიყვანთ შემდეგი ქვეყნების მაგალითებს:

¹ ჭანტურია, ლ.; ზოიძე, ბ.; ნინიძე, თ.; შენგელია, რ.; ხეცურიანი, ჯ. (2000). "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი V. თბილისი: "სამართალი". გვ. 302-303

² სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ მეურვეობა/მზრუნველობის კუთხით განხილული შემთხვევები 2019 წ.; სოციალური მომსახურების სააგენტო; http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1453

გერმანიაში მეურვე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ამოცანათა იმ ჯგუფის შესასრულებლად, რომლის შესასრულებლადაც საჭიროა მეურვეობა. გერმანულ სამართალში უპირატესობა ენიჭება შეზღუდულ მეურვეობას. უმეტეს შემთხვევებში მეურვე ინიშნება მკურნალობისა და ფინანსური მენეჯმენტის ზედამხედველობის მიზნით, ასეთ შემთხვევებში სამეურვეო პირი ინარჩუნებს ქმედუნარიანობას.

ნორვეგიის კანონით სამეურვეო პირს მეურვე ენიშნება ზოგადად მისი საქმეების წარმართვის ან კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. მეურვის უფლებების მოცულობა განისაზღვრება მისი დანიშვნის დროს და ის არ უნდა სცილდებოდეს აუცილებლობის ფარგლებს.

ესტონეთში პირის ქმედუნარიანობა შეზღუდულად ითვლება იმ ფარგლებში, რა მოვალეობების შესასრულებლადაც ენიშნება მეურვე (*მუხ. 8-3*). მეურვის მოვალეობების ფარგლები დგინდება სასამართლო პროცესზე.

შვედეთის კანონით მეურვე ორის სახისაა: მენტორი და ნდობით აღჭურვილი პირი. მენტორი სამეურვეო პირს უწევს დახმარებას ისე, რომ არ ზღუდავს მის ქმედუნარიანობას, ნდობით აღჭურვილ პირს კი ნიშნავენ მაშინ, როცა სამეურვეო პირს არ შეუძლია წარმართოს თავისი ქონებრივი და ფინანსური საქმეები ან იზრუნოს საკუთარ თავზე. ნდობით აღჭურვილი პირის მანდატში დაწვრილებით არის გაწერილი, თუ რა კონკრეტული შეზღუდვები უწესდება სამეურვეო პირს (*კანონი მშობლებისა და მეურვეობის შესახებ, თ. 11, მუხ. 7*).¹

ავსტრიის კანონმდებლობით მეურვე ინიშნება ერთი ან რამდენიმე ამოცანის შესრულების მიზნით ან ეძლევა სრული მეურვეობის უფლება (*სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 268-3*).

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში გამოყოფილი და კლასიფიცირებულია მეურვეობის სახეები. მეურვეობა სამი სახისაა: სასამართლო დაცვა, კურატორობა და ტუტორობა. სასამართლო დაცვა შეიძლება გამოყენებული იქნეს პირის მიმართ, რომელსაც ესაჭიროება დროებითი დაცვა ან დახმარება. კურატორობა უწესდება პირს, რომელიც არ არის სრულად ქმედუნარო და ესაჭიროება დახმარება ან ზედამხედველობა გარკვეული ქმედებების განხორციელებაში. კურატორი ეხმარება პირს შემოსავლებისა და ფინანსების მენეჯმენტში, მაგრამ არ ერევა მის სოციალურ ცხოვრებაში. კურატორობაც, თავის მხრივ, ორი სახისაა: მარტივი კურატორობა და ინტენსიური კურატორობა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში კურატორი წყვეტს შემოსავლების გამოყენების საკითხებს. ტუტორი იღებს გადაწყვეტილებას სამეურვეო პირის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, მეურვეობა ეხება როგორც ფინანსებს, ასევე თავად სამეურვეო პირს.

საფრანგეთის მსგავსად **ნიდერლანდების** სამოქალაქო კოდექსიც ასევე ითვალისწინებს სამი სახის მეურვეობას, ესენია: დამცავი ნდობა, რაც გულისხმობს ქმედუნარო პირის ქონებრივი და ფინანსური ინტერესების დაცვას, მენტორობა - დაცვას მოვლისა და მკურნალობის მხრივ, სრული მეურვეობა - რაც გულისხმობს პირის ინტერესების დაცვას როგორც ქონებრივი და ფინანსური საკითხების, ასევე მოვლისა და მკურნალობის მხრივ (*სამოქალაქო კოდექსი, თ. 19, მუხ. 431; თ. 20, მუხ.450; თ. 16, მუხ.378-379*).¹

საბერძნეთში კანონმდებლობა ითვალისწინებს მეურვეობის რამდენიმე სახეს: მეურვეობა, რომელიც ქმედუნარო პირს სრულად ან ნაწილობრივ უზღუდავს საქმიანი გარიგებების დადების უფლებას და მეურვეობა, რომლის შემთხვევაშიც

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

საქმიანი გარიგება კანონიერ სახეს იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ქმედუნარო პირთან ერთად ხელს აწერს მისი მეურვე, სასამართლომ შეიძლება დააწესოს მეურვეობა ამ ორი მოდელის შერწყმის საფუძველზე (*სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1676*).¹

მეურვეობისგან განსხვავებით, მზრუნველობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უწესდებათ ისეთ პირებს, რომლებსაც ქმედუნარიანობა სრულად არ გააჩნიათ ან არა აქვთ მისი რეალიზაციის სრული შესაძლებლობა. მათ რიგს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირები. სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით ასეთი პირები შეზღუდულქმედუნარიანები არიან. მზრუნველობა წესდება მათი სწორად აღზრდისა და პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით. მზრუნველი არა მარტო თვითონ ასრულებს იურიდიულ მოქმედებებს მზრუნველობაში მყოფი პირის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, არამედ ზედამხედველობს და ნებას რთავს ამ უკანასკნელს ასეთ მოქმედებათა შესრულებაზე. შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირს დამოუკიდებლად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ წვრილმან ყოფით გარიგებებში.²

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც მზრუნველობა წესდება სრულწლოვანი პირის მიმართ, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობები,

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

² შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ). თბილისი: "მერიდიანი"; გვ. 352-353.

ამ დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხი ისე მძიმე არ არის, რომ მან საერთოდ ვერ შეასრულოს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებანი. მას სჭირდება დამხმარე, მრჩეველი, რომელიც კიარ შეცვლის მას სამართლებრივ ურთიერთობებში, არამედ ხელს შეუწყობს თავისი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზაციაში. ამ შემთხვევაში მზრუნველის თანხმობა გარიგების დასადებად საჭირო არ არის. აღნიშნულის გარდა, მზრუნველობა წესდება იმ სრულწლოვანი პირების მიმართ, რომლებიც სასამართლოს მიერ აღიარებული არიან შეზღუდულქმედუნარიანებად. სსკ-ის მე-16 მუხლის მიხედვით შეზღუდულქმედუნარიანად სასამართლო ცნობს პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ, მართალია ასეთი პირი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გარიგებები, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი, მაგრამ ყველა შემთხვევაში საჭირო იქნება მზრუნველის თანხმობა. რაც შეეხება წვრილმან ყოფით გარიგებებს, მათი დადება დამოუკიდებლად შეუძლია.¹

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული 1990 წლის 02 სექტემბრის „ბავშვთა უფლებების კონვენციის“ მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით ისეთი სხვადასხვა ღონისძიებები, როგორებიცაა: მზრუნველობა, მეურვეობა და მეთვალყურეობა მიმართული უნდა იყოს ბავშვის კეთილდღეობისათვის შესაფერისი გარემოს შექმნისკენ და შეესაბამებოდეს მის მდგომარეობასა და დანაშაულის ხასიათს.²

¹ შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ). თბილისი: "მერიდიანი"; გვ.352-353.

² გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი, (2000). "ბავშვის უფლებები". თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

ამასთან, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად საყოველთაოდ აღიარა ბავშვთა უფლებები და ხაზი გაუსვა, რომ ისინი განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა იყვნენ გარემოსილნი. კონვენციაში ნათქვამია, რომ ბავშვის სრული განვითარებისთვის აუცილებელია, იგი იზრდებოდეს ოჯახის წევრებთან ერთად მშვიდ და ჰარმონიულ პირობებში; 157 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში კი განმარტებულია, რომ ბავშვი უნდა გაიზარდოს მშვიდობის, ადამიანის ღირსების, პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით.¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1896-ე მუხლის მიხედვით თუ სრულწლოვანი პირი ფსიქიკური ავადმყოფობის ან მძიმე გონებრივი ან სულიერი დარღვევების გამო უუნაროა, მთლიანად ან ნაწილობრივ წარმართოს საკუთარი საქმეები, მაშინ მზრუნველობის საქმეთა სასამართლო პირის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით უნიშნავს მას მზრუნველს. რამდენადაც სრულწლოვან პირს ფიზიკური უუნარობის გამო არ შეუძლია საკუთარი საქმეების წარმართვა, მზრუნველი შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ სრულწლოვანი პირის განცხადების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას არ შეუძლია თავისი ნების გამოვლენა. გერმანიის სამოქალაქო კოდექსით მზრუნველის დანიშვნა სრულწლოვანი პირის თავისუფალი ნების საწინააღმდეგოდ დაუშვებელია. მზრუნველი კი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ საკითხთა წრეში, რომელთა გადაწყვეტისათვისაც აუცილებელია მზრუნველობა.²

1.2 მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები

¹ ჭილაშვილი, ლ. (2016). „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. გვ. 157-158

² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი *BGB. (მე-2 გ.)* (2019 წ.). თბილისი; lawlibrary.info/ge გვ. 458

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ Nას-967-916-2015 საქმეზე 2016 წლის 25 თებერვლის განჩინებით განმარტა, რომ „ამოსავალი პრინციპია ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა.“¹ სწორედ ამ უფლებამოსილების განმახორციელებელ სუბიექტს წარმოადგენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო.

“სოციალური დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, 2009 წლის პირველი იანვრიდან ბავშვთა დაცვასა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროა პასუხისმგებელი. ამის მთავარი მიზანი სოციალური სექტორისთვის ერთიანი ადმინისტრაციული სისტემის შექმნა იყო. შედეგად, ბავშვებზე ზრუნვა სოციალური დაცვის ერთიან სისტემაში გაერთიანდა, რამაც უფრო მოქნილი გახადა მისი მენეჯმენტი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ სფეროს მომდევნო რეფორმირებაში. ამ სტრუქტურული ცვლილებების ფარგლებში მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოს ფუნქციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაეცა. მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს ფუნქციები კი ამავე სააგენტოს ტერიტორიულმა ერთეულებმა (სტრუქტურულმა ქვეგანყოფილებებმა) შეითავსეს.²

სსკ-ის 1278-ე მუხლით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა. (25.02.2016). საქმე Nას-967-916-2015; თბილისი.

² საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/zzz.pdf> გვ. 14-15

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და მის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება, აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები.¹

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები უდიდეს სამუშაოს ასრულებენ მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირების აღზრდისა და მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში. მათ კომპეტენციაში შედის: იმ პირთა გამოვლენა, რომლებიც საჭიროებენ მეურვეობას ან მზრუნველობას, მეურვეებად და მზრუნველებად კონკრეტული პირების განსაზღვრა, სპეციალური დასკვნების მომზადება, იმ დოკუმენტების მომზადება და გაცემა, რომლებიც მეურვეობისა და მზრუნველობის განხორციელებასთან არის დაკავშირებული და ბევრი სხვა. მაგალითად თუ თვრამეტ წელს მიულწეველ პირს შეექმნა ისეთი პირობები, როცა დამოუკიდებლად არ შეუძლია თავისი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურმა მუშაკმა მისი ცხოვრებისეული პირობების შესწავლის საფუძველზე უნდა განსაზღვროს ასეთ პირს ესაჭიროება მეურვე თუ მზრუნველი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ამ საკითხის გადასაწყვეტად. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ კი უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოაწყოს იგი ოჯახში მეურვეობის და მზრუნველობის პირობით, თუ გააგზავნოს საბავშვო-აღმზრდელობით დაწესებულებაში. თუ სულით ავადმყოფი საჭიროებს მეურვეობას, უნდა განისაზღვროს სჭირდება თუ არა მას სტაციონარული მკურნალობა თუ სხვა სამედიცინო დახმარება. სრული ქმედუნარიანი ან შეზღუდულქმედუნარიანი პირისთვის მზრუნველის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტამდე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ სოციალური დაცვის მუშაკის შუამდგომლობის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს ასეთი ნაბიჯის

¹ matsne.gov.ge (1997 წ. 26 ივნისი). საქართველოს კანონი "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი". მუხ: 1278

მიზანშეწონილობა - მოათავსოს პირი ინვალიდთა ან მოხუცებულთა სახლში, თუ დაუწესოს მზრუნველობა.¹

ფსიქიკური უუნარობის დაცვის ცენტრის მიერ 2007 წელს გამოცემული „მეურვეობა და ადამიანის უფლებები საქართველოში“ მეურვეობის კანონის და პოლიტიკის ანალიზის მიხედვით საქართველოს მეურვეობის კანონი ითვალისწინებს მხოლოდ პლენარულ (ყველაფრის მომცველ) მეურვეობას. იურიდიული უნარიანობის ჩამორთმევის გარდა კანონი არ ითვალისწინებს სხვა ნაკლებად შემზღვეველ დამცავ საშუალებას. სანამ მოწიფულს ჩამოერთმევა იურიდიული უნარიანობა, უფლებამოსილი უუნარობის შეფასების კომისიამ უნდა ჩაატაროს უუნარობის შეფასება. თითო კომისია უნდა იყოს შეადგენდეს სულ მცირე სამ ექიმს და ფსიქოლოგს. კომისიის ზუსტი შემადგენლობა შეიძლება შეიცვალოს ინდივიდუალური საქმის გარემოებიდან გამომდინარე. უუნარობის შეფასების ჩატარებამდე კომისიის მიერ შეიძლება ჩატარდეს სამედიცინო შემოწმების და რეაბილიტაციის პროცედურები.

ფსიქიკური უუნარობის დაცვის ცენტრის მეურვეობის კანონის და პოლიტიკის ანალიზით, სასამართლომ ან საავადმყოფომ, სადაც მოწიფული არის ჰოსპიტალიზებული, შეუძლია მოითხოვოს უუნარობის შეფასების ჩატარება. კომისიას უფლება აქვს მოაწყოს უუნარობის შეფასება სამედიცინო ან სარეაბილიტაციო ინსტიტუციაში და გააგზავნოს მოწიფული ამ ინსტიტუციაში. კომისიას აგრეთვე შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს ყველა აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ნებისმიერი დაწესებულებიდან, მიუხედავად მისი ორგანიზაციული სტატუსისა. მთავარი მიზანია, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ისეთი უუნარობის შეფასება, რომელიც დაფუძნებულია უახლეს და ზუსტ ინფორმაციაზე.

¹ შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ). თბილისი: "მერიდიანი"; გვ. 353-354

უნარიანობა ფასდება მოწიფულის სოციალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური შესაძლებლობების საფუძველზე. დგინდება არის თუ არა იგი დროებითი ან მუდმივი ხასიათის და უნდა მოიცავდეს იმის შეფასებას, აქვს თუ არა მოწიფულს უნარი, რომ იმოძრაოს და დაამყაროს კავშირი, მიმართულების შეგრძნება, თვით კონტროლი და შეუძლია თუ არა მას იზრუნოს საკუთარ თავზე. სანამ კომისია განსაზღვრავს ქმედუნარობის დონეს: მსუბუქი, ზომიერი, მნიშვნელოვანი ან მაღალი, მხოლოდ ზომიერი მნიშვნელოვანი ან მაღალი ქმედუნარობის დონის დადგენას შეუძლია შედეგად გამოიწვიოს ქმედუნაროდ აღიარება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ადგენს ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა ჩატარდეს მოწიფულობის ფუნქციონალური ქმედუნარიანობის დადგენა.¹

კომისიამ უნდა შეადგინოს უუნარობის შეფასების ანგარიში, რომლის ასლი უნდა მიეცეს მოწიფულს ან მის კანონიერ წარმომადგენელს. უუნარობის შეფასების ანგარიშის მოკლე დასკვნა უნდა გაეგზავნოს შესაბამის დაწესებულებას.

მოწიფულის ფუნქციონალური უნარიანობის შეფასების შემდეგ, სასამართლოს შეუძლია ჩამოართვას მოწიფულს იურიდიული უნარიანობა. იმის შემდეგ, რაც სასამართლო მოწიფულს ქმედუნაროდ აღიარებს, მეურვეს მისთვის ნიშნავს ადგილობრივი ხელისუფლების სამეურვეო სააგენტო. სამეურვეო სააგენტოს შეუძლია დანიშნოს მეურვე: ა) როცა სააგენტო მიიღებს მეურვის დანიშვნის წერილობით თხოვნას; ბ) როცა სასამართლო გაუგზავნის თავის გადაწყვეტილებას სააგენტოს.²

¹ ფსიქიკური უუნარობის დაცვის ცენტრი (2007). "მეურვეობა და ადამიანის უფლებები საქართველოში" მეურვეობის კანონის და პოლიტიკის ანალიზი. გვ. 23-24

² ფსიქიკური უუნარობის დაცვის ცენტრი (2007). "მეურვეობა და ადამიანის უფლებები საქართველოში" მეურვეობის კანონის და პოლიტიკის ანალიზი. გვ. 24-25

საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს ვითარებებს, რომლებშიც აღმოჩენილ ბავშვს მზრუნველობამოკლებულის სტატუსი ეძლევა.

მზრუნველობამოკლებულად ითვლება 18 წლამდე ასაკის პირი - ა) თუკი მისი მშობლები სასამართლოს მიერ აღიარებულნი არიან ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად; ბ) თუკი ის არის ობოლი; გ) თუკი მის მშობელს (მშობლებს) ჩამოერთვა (შეეზღუდა ან შეუჩერდა) მშობლის უფლებები და მოვალეობები კანონმდებლობით დადგენილი წესების თანახმად; დ) თუკი ის აღიარებულია მიტოვებულად; ე) თუკი, რაიმე მიზეზის გამო, მშობელთან (მშობლებთან) ან მეურვესთან/აღმზრდელთან დარჩენა მისთვის სახიფათოა.¹

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი განცალკევებულია ბიოლოგიური მშობლებისგან, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო განიხილავს მისი განთავსების ალტერნატივებს, რათა ბავშვი ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში დარჩეს. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (სოციალური მუშაკის შეფასებასა და დასკვნაზე დაყრდნობით) გადაწყვეტილებით, ვითარებიდან გამომდინარე, მზრუნველობამოკლებულ ბავშვს - 1. ენიჭება გასაშვილებლის სტატუსი და მის მიმართ ხორციელდება გაშვილების შესაბამისი იურიდიული პროცედურები; 2. ექცევა მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ და ენიშნება მეურვე/მზრუნველი; 3. ენიშნება მომსახურება (მშვილბელი ოჯახი/მინდობით აღზრდა, მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლში ტიპის სახლი, ობოლთა თავშესაფარი), სადაც მაქსიმალურად იქნება დაცული მისი ინტერესები. მისთვის ხელმისაწვდომია ქვეყანაში არსებული მზრუნველობის ყველა სერვისი.

2005 წელს შეიქმნა ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისია, რომელსაც 2005-2007 წლებისა და 2008-2011 წლების სათანადო სამოქმედო გეგმების ეფექტიანად განხორციელება დაევალა. ეს სამოქმედო გეგმები

¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/zzz.pdf> გვ. 25-27

ქმნიდნენ ძირითად ჩარჩოს სახელმწიფოს დაცვის ქვეშ მყოფი ბავშვების მიტოვების პრევენციასთან, მათზე ზრუნვის ალტერნატიულ სერვისებთან და რეინტეგრაციასთან დაკავშირებული საპილოტო პროგრამების დასანერგად. შესაბამისი კომისია 2010 წლის თებერვალში, მთავრობის N40 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა.

ბავშვებზე ზრუნვის სისტემის ტრანსფორმირება კვლავაც უაღრესად პრიორიტეტულ საკითხად რჩება ხელისუფლებისთვის. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის 2011-2012 წლების სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 8 დეკემბრის #373 დადგენილება „ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების განვითარების მხარდაჭერის შესახებ“).¹

სამოქმედო გეგმა დიდი საცხოვრებელი ინსტიტუციების პატარა, მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლებით ეტაპობრივ ჩანაცვლებას გულისხმობდა. 2010 წელს მთავრობამ დააარსა და სამართავად გადასცა არასამთავრობო ორგანიზაციებს 17 მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლი. სოციალური მუშაკების მიერ 2010 წელს ჩატარებულმა შეფასებამ დაადგინა, რომ დიდ მზრუნველობით დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების 30-35% შეიძლება ბიოლოგიურ ოჯახებს დაუბრუნდეს, 8% კი შეიძლება გაშვილდეს. 2010-2012 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური დახმარებით კიდევ დაარსდა მცირე ზომის საოჯახო ტიპის რამდენიმე სახლი. ამ დაწესებულებებში სამუშაოდ შერჩეულმა პერსონალმა სრულიად ახალი სახის ტრენინგი გაიარა ინდივიდუალური ზრუნვის სფეროში -მათ შორის, ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენასა და სხვა საჭიროებების

¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/zzz.pdf> გვ. 25-27

განსაზღვრაში. ასეთი შეფასების საფუძველზე სერვისი თითოეულ ბავშვთან დაკავშირებით ადგენს ინდივიდუალურ გეგმას და მიღწეულ შედეგებს ხარისხიანი მოვლის ინდიკატორებით ამოწმებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1284-ე მუხლის თანახმად, მზრუნველის, ან მეურვის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სამეურვეო (სამზრუნველო) პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დღესდღეობით მეურვის საქმიანობაზე ზედამხედველობის წესები და პირობები მკაფიოდაა განსაზღვრული. ამ წესების თანახმად, მეურვეობისა და 30 მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი სოციალური მუშაკი სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც ახორციელებს მეურვის გეგმურ შემოწმებას, ხოლო დამატებითი შემოწმებები ხორციელდება პერიოდულად, კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული წესის თანახმად, მეურვის საქმიანობაზე ზედამხედველობის დაწყებამდე, მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო ამტკიცებს გეგმას, რომელშიც ასახულია ზედამხედველობის პირობები, განრიგი და უფლებამოსილება.¹

ანგარიშგების პერიოდში დაიხვეწა მზრუნველისა და მეურვის საქმიანობაზე ზედამხედველობის წესები და ჩამოყალიბდა ზედამხედველობის რელევანტური ფორმა. დაიხვეწა და გამოიცადა შეფასების ახალი ფორმები სოციალური მუშაკებისთვის, შემუშავდა სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობის წესები, აგრეთვე, დაიხვეწა ოჯახური კონფლიქტის შეფასებისა და აღწერის ფორმები და ჩამოყალიბდა რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესები და პირობები.

2013 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა პროგრამის მონიტორინგის სამმართველო, რომელიც

¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/zzz.pdf> გვ. 25-27

უზრუნველყოფს ბავშვზე ზრუნვის სერვისების მონიტორინგს, და ადგენს ბავშვის უფლებების რეალიზების კუთხით მათი საქმიანობის ხარისხის ინდიკატორებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები თავიანთი ფუნქციების განხორციელების პროცესში იხილავენ უამრავ განცხადებასა და საჩივარს ცალკეული მეურვეებისა და მზრუნველების არამართლზომიერ მოქმედებათა შესახებ. ასეთი განცხადებები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მის ტერიტორიულ სამსახურებში შეიძლება შევიდეს არამართო მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირების, არამედ მათი ახლობლების, ნათესავებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისგან.¹

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციული ფორმების, მათი უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის დამდგენ უშუალო სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები.²

მეურვის/მზრუნველის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სამეურვეო პირის/სამზრუნველო პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მეურვის და მზრუნველის მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებაზე ზედამხედველობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ახორციელებს:

ა) 6 თვეში ერთხელ;

ბ) სასამართლოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით;

გ) თავისი ინიციატივით, შემხვედრი აუცილებლობიდან გამომდინარე, თუ არსებობს ინფორმაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩარევის საჭიროების შესახებ.

¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/zzz.pdf> გვ. 29-30

² შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ). თბილისი: "მერიდიანი"; გვ. 353-354

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის შედეგები აისახება ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნაში.¹

ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნა დადებითია, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნებისმიერი ფორმის ზედამხედველობის განხორციელების შედეგად დაადგენს, რომ მეურვე/მზრუნველი კეთილსინდისიერად ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს. ზედამხედველობის შედეგების შესახებ დასკვნა უარყოფითია, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნებისმიერი ფორმის ზედამხედველობის განხორციელების შედეგად დაადგენს, რომ მეურვე/მზრუნველი კეთილსინდისიერად არ ასრულებს/ვერ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს.

თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დაადგენს, რომ მეურვე/მზრუნველი არ ასრულებს/არაჯეროვნად ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრულ მოვალეობებს, არღვევს სამეურვეო პირის/სამზრუნველო პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, მას უარყოფითი დასკვნა გამოაქვს და მოქმედებს შემდეგნაირად:

ა) თუ მეურვის/მზრუნველის მოქმედებების ინტენსივობა ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის არასაკმარისია:

ა.ა) სოციალური მუშაკის მეშვეობით ეხმარება მეურვეს/მზრუნველს, რათა მან უკეთ გააცნობიეროს და შეასრულოს თავისი მოვალეობები;

¹ matsne.gov.ge (1997 წ. 26 ივნისი). საქართველოს კანონი "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი". მუხ: 1305¹, 1305², 1305³; 1305⁴

ა.ბ) თავისი მოვალეობისაგან ათავისუფლებს მეურვეს/მზრუნველს;

ბ) მეურვის/მზრუნველის მოქმედებების ინტენსივობის შესაბამისად მოქმედებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესებით.¹

2019 წლის 9 თვის განმავლობაში სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ არასრულწლოვანთა მეურვეობა/მზრუნველობის მონიტორინგის 169, ხოლო ქმედუუნარო პირთა და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა მეურვეობა/მზრუნველობის მონიტორინგის 209 შემთხვევა დაფიქსირდა.²

ევროპის ქვეყნებში მეურვის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო სამეურვეო სამსახური და სასამართლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1837-ე მუხლით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმოადგენს საოჯახო საქმეთა სასამართლო, რომელიც მეურვეებს უწევს კონსულტაციას. იგი ხელს უწყობს მათ საქმის კურსში ჩაყენებას. საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა განახორციელოს ზედამხედველობა მეურვის ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის საქმიანობაზე ზოგადად და დარღვევების საწინააღმდეგოდ მიიღოს ზომები სათანადო ბრძანებებისა და აკრძალვების მიღების მეშვეობით. მას შეუძლია მეურვეს ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელ მეურვეს

¹ matsne.gov.ge (1997 წ. 26 ივნისი). საქართველოს კანონი "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი". მუხ: 1305⁴; 1305⁵

² სოციალური მომსახურების სააგენტო; (2019) "სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ მეურვეობა/მზრუნველობის კუთხით განხილული შემთხვევები"; http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1453

დაავალოს იმ ზიანის შემთხვევისათვის დაზღვევის გაფორმება, რომელიც მათ შეიძლება მიაყენონ სამეურვეო პირს.¹

გერმანიაში მეურვე მოვალეა ყოველწლიურად წარუდგინოს სასამართლოს ანგარიში, რომელსაც ამოწმებს სასამართლოს მიერ დაქირავებული სამეურვეო საქმის აუდიტორი. ანგარიში დგება იმ ამოცანათა ჯგუფის შესრულების თაობაზე, რომელთა შესასრულებლადაც არის დანიშნული მეურვე. მაგალითად, თუ მეურვე დანიშნულია ფინანსური საქმიანობის წარმართვის მიზნით, წარმოდგენილი უნდა იყოს. როგორც სამეურვეო პირის, ასევე თავად მეურვის ფინანსური მდგომარეობა და ა. შ. მეურვე ვალდებულია სასამართლოს მიმართოს ნებართვის მისაღებად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განსახორციელებლად. ზოგადად, მეურვისათვის სამეურვეო საქმიანობაში დახმარების გაწევა სამეურვეო საქმეთა სასამართლოსა და საზოგადოებრივი მეურვის ოფისის მოვალეობაა, გარდა ამისა, სამეურვეო პირის ოჯახის წევრებსა და მოხალისე მეურვეებს დახმარებას უწევენ არაკომერციული საადვოკატო ორგანიზაციებიც.²

ინგლისა და უელსში მეურვეზე ზედამხედველობას ახორციელებს საზოგადოებრივი მეურვის ოფისი, რომელიც იღებს მეურვეთა ანგარიშებს, აგზავნის დაცვის სასამართლოს ვიზიტორებს მეურვის საქმიანობის შესამოწმებლად, იღებს გადაწყვეტილებებს სამეურვეო პირთა მხრიდან მეურვის მიერ უფლებების გამოყენების შესახებ გამოთქმული პრეტენზიებისა და საჩივრების თაობაზე. დაცვის სასამართლოში ფუნქციონირებს 2 საბჭო: სპეციალიზებულ ვიზიტორთა საბჭო, რომლის წევრებიც ახდენენ სამეურვეო პირის ქმედუნარიანობის შემოწმებას, როცა

¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB. (მე-2 გ.) (2019 წ.). თბილისი; lawlibrary.info/ge გვ. 452

² საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

საქმე ეხება ქმედუნარიანობის მტკიცებულებათა მოპოვებას ან არსებული მტკიცებულებები წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და ზოგადი საბჭო, რომლის წევრებიც რეგულარული ვიზიტების საფუძველზე ამოწმებენ მეურვეთა საქმიანობას.

ნორვეგიაში თუ მეურვე ინიშნება ფინანსურ საქმეთა წარმართვის მიზნით, ის მოვალეა ყოველწლიურად წარადგინოს საზოგადოებრივი მეურვის ოფისის აუდიტორის მიერ შემოწმებული ანგარიში. საზოგადოებრივი მეურვის ოფისი უზრუნველყოფს სამეურვეო პირის ქონების დაუყოვნებლივ რეგისტრაციასა და შეფასებას. მეურვედ მეუღლის დანიშვნის შემთხვევაში ზედამხედველობის, ადმინისტრირების, რეგისტრაციისა და ანგარიშების წარმოების გარკვეულწილად განსხვავებული წესები მოქმედებს.¹

საფრანგეთში სამივე სახის მეურვის საქმიანობას ზედამხედველობს სამეურვეო საქმეთა სასამართლოს მოსამართლე და პროკურორი. სამეურვეო პირის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის ან ნივთების გაყიდვა დაუშვებელია სამეურვეო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე. მეურვეს არ აქვს ასევე სამეურვეო პირის სახელზე გახსნილი საბანკო ან შემნახველი ანგარიშების შეცვლის ან ახლის გახსნის უფლება სამეურვეო სასამართლოს მოსამართლის თანხმობის გარეშე.²

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

² საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

1.3 პირები, რომლებიც შეიძლება დაინიშნონ მეურვედ ან მზრუნველად

მეურვეობა არის პროცესი, რომლითაც სასამართლო მიიჩნევს, რომ პიროვნების შესაძლებლობა(უნარიანობა) გადაწყვეტილების მიღებასთან მიმართებაში იმდენად შეზღუდულია, გონებრივი ან ფიზიკური უნარშეზღუდულობის გამო, რომ გადაწყვეტილების მიღების უფლება ლეგალურად გადაეცემა სხვა მხარეს. ეს მხარე, რომელიც მეურვედაა მიჩნეული, ხდება გადაწყვეტილების მიმღები სუროგატი პიროვნულ ან/და ფინანსურ საკითხებში უუნარო ადამიანებისთვის, რომელიც მიჩნეულია როგორც „მეურვეობაში მყოფი“¹

ადამიანის უფლებების სტანდარტებით გაეროს გენერალური ასამბლეას მიერ 2006 წლის 06 დეკემბერს მიღებული „უუნარობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ მოითხოვს კონვენციის მხარეებისგან, რომ მათ უზრუნველყონ ისეთი „ზომები, რომლებიც დაკავშირებულია ქმედუნარიანობის აღსრულებასთან, პატივს სცემენ პიროვნების სურვილებს და უპირატესობებს. ეს სავარაუდოდ მოიცავს მეურვის დანიშვნას. ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ევროპული კონვენციის და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ადგენს, რომ მეურვის შესაფერისობის შეფასებისას პირველადი მოსაზრება უნდა იყოს პიროვნების უნარი, დაიცვას და ხელი შეუწყოს მოწიფულის ინტერესებს და კეთილდღეობას. რეკომენდაცია აგრეთვე ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები იმისთვის, რომ არსებობდნენ კვალიფიცირებული მეურვეები. ეს შეიძლება ნიშნავდეს წვრთნითი ასოციაციების შექმნას. ეს ინდიკატორი აგრეთვე განსაზღვრავს, ადგენს თუ არა კანონმდებლობა პიროვნებისთვის თვისებებს ან ატრიბუტებს, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ იგი დაინიშნოს მეურვედ.

¹ ადამიანის უფლებათა ცენტრი. (2010). *"ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანთა უფლებები საქართველოში"*. HRIDC.; <http://humanrights.ge>

მაგალითად, ფინეთის კანონმდებლობა ადგენს, რომ მეურვეობის კანდიდატურის შესაფერისობის შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს მის ჩვევებს, გამოცდილებას, მისი მოვალეობების ბუნებას და დავალებული მოვალეობების განფენილობას.¹

ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ევროპული კონვენციის და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია შემდეგ ადგენს, რომ მოწიფულის სურვილები, იმ პიროვნების არჩევასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა იყოს მისი დამხმარე და წარმომადგენელი, უნდა იქნეს გათვალისწინებული და სათანადო პატივისცემით აღქმული. რეკომენდაციების ახსნითი მემორანდუმი იძლევა გაფრთხილებას, რომ როდესაც ნათესავების შეუფასებელი და შეუცვლელი როლი უნდა იქნეს აღიარებული და დაფასებული, კანონი უნდა ითვალისწინებდეს, რომ ზოგიერთ ოჯახში არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და ასევე ამ კონფლიქტიდან გამომდინარე საშიშროებები.

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს მეურვის შერჩევის კრიტერიუმებს. მოწიფულის გრძნობები და სურვილები შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როცა მოწიფული იძულებით იმყოფება დაწესებულებაში. კანონმდებლობა გვთავაზობს, რომ მოწიფულის თანხმობა უნდა იქნეს გათვალისწინებული მეურვის არჩევის დროს. მაგრამ, რადგანაც კანონი არის საკმაოდ ბუნდოვანი იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ ვინ შეიძლება იქნეს არჩეული როგორც მეურვე და რადგანაც საქართველოში არ არსებობს საზოგადო მეურვეობის სისტემა, მეურვედ უმეტეს შემთხვევაში არის არჩეული მოწიფულის ოჯახის წევრი ან ნათესავი.

იმ შემთხვევაში, როცა მოწიფული დაკავებულია ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მოწიფულის სურვილები და გრძნობები მეურვის არჩევასთან

¹ "ფინეთის მეურვეობის მომსახურების აქტი". (2006). თავი 2, სექცია 5.

დაკავშირებით არ არის გასათვალისწინებელი რადგანაც მოწიფული არ ესწრება მეურვის დანიშვნის პროცედურას.¹

საბჭოთა კანონმდებლობით არ იყო აუცილებელი მეურვის ან მზრუნველის თანხმობა. მეურვეობა და მზრუნველობა ითვლებოდა ნებისმიერი მოქალაქის საჯარო მოვალეობად და მისი ნების გარეშე შეიძლებოდა იგი დანიშნულიყო მეურვედ ან მზრუნველად, რაც იმის საუკეთესო მაგალითად დარჩა, თუ რა დონეზე ერეოდა სახელმწიფო საოჯახო ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებაში. მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის კეთილმყოფელი გავლენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელება მეურვის ან მზრუნველის მიერ ნებაყოფლობის საწყისებზე ხდება.²

კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა არა მარტივ იმ პირის ნებართვაა საჭირო, რომელიც შეიძლება მზრუნველად დაინიშნოს, არამედ იმ პირისაც, ვისაც უნდა დაენიშნოს მზრუნველი. ეს იმ შემთხვევაშია სავალდებულო, როცა მზრუნველის შერჩევა ხდება იმ სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირისთვის, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები. ასეთი წესი უფრო მეტ გარანტიას ქმნის სამზრუნველო ფუნქციების დანიშნულებისამებრ განსახორციელებლად. მიზანშეწონილია, ასეთი წესი გავრცელებულ იქნეს არასრულწლოვანისთვის მზრუნველის შერჩევის დროს, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ათი წლის ასაკს გადაცილებულია. შესაძლებელია აგრეთვე სხვა პირის ნების გამოვლენაც მნიშვნელოვანი იყოს მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის დროს. კანონმა გაითვალისწინა ისეთი სპეციფიკური შემთხვევაც, როცა მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს გარდაცვლილი მშობლების ადრე გამოხატული მითითებისამებრ ნოტარიალურად ან თუ ნოტარიუსი ხელმისაწვდომი არ არის,

¹ ფსიქიკური უუნარობის ცენტრი (2007). "მეურვეობა და ადამიანის უფლებები საქართველოში" მეურვეობის კანონის და პოლიტიკის ანალიზი. Mental Disability Advocacy Center. გვ. 42-44

² შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ). თბილისი: "მერიდიანი"; გვ.358-360

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დამოწმებული დოკუმენტის - ანდერძის საფუძველზე. თანხმობის მიმცემ პირთა წრის გაფართოება განპირობებულია მეურვის ან მზრუნველის სწორად შერჩევის აუცილებლობით.¹

სსკ-ის 1282-ე მუხლის პირველი ნაწილით: „მეურვე ან მზრუნველი უნდა დაინიშნოს არაუგვიანეს ერთი თვისა იმ დროიდან, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთვის ცნობილი გახდება მეურვეობის ან მზრუნველობის დაწესების აუცილებლობა.“²

მეურვე ან მზრუნველი შერჩეულ უნდა იქნეს ნათესავების ან ახლობლების წრიდან. შესაძლებელია აგრეთვე მისი შერჩევა სხვა პირთა წრიდანაც. იმ მოთხოვნებს შორის, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მეურვის ან მზრუნველის კანდიდატურა, კანონი გამოყოფს რამდენიმე მათგანს:

- ✓ კანდიდატის დადებითი პიროვნული თვისებები;
- ✓ დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარი და პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ✓ კეთილსასურველი დამოკიდებულების არსებობა მასა და სამეურვეო ან სამზრუნველო პირს შორის;
- ✓ სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სურვილი იმის შესახებ, რომ მეურვედ ან მზრუნველად დაინიშნოს შერჩეული კანდიდატურა.

ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. მიზანშეწონილია აგრეთვე როგორც მეურვის ან მზრუნველის კანდიდატურის, ისე სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სხვა საოჯახო და ყოფითი მხარეების გათვალისწინება.

აღნიშნული გარემოებანი მეურვის ან მზრუნველის დანიშვნისას განიხილება ერთობლივად. არც ერთ მათგანს არა აქვს ფორმალურად აუცილებელი კრიტერიუმის

¹ შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); მეორე გამოცემა. თბილისი: "მერიდიანი". გვ. 358-360

² matsne.gov.ge (1997 წ. 26 ივნისი). საქართველოს კანონი "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი". მუხ: 1282

ხასიათი. ყველა შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ შერჩეული კანდიდატურა შეძლებს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. ასეთ შემთხვევაში შესაბამის პირს იგი დაუნიშნავს მეურვედ ან მზრუნველად.¹

სსკ-ის 1282-ე მუხლის მე-4 ნაწილი ამავედროულად ადგენს ინდივიდების სიას, რომლებიც არ შეიძლება იქნენ არჩეული მეურვეებად, ასეთ პირს წარმოადგენს:

- რომელსაც 18 წლის ასაკისთვის არ მიუღწევია;
- რომელიც სასამართლომ მხარდამჭერის მიმღებად ცნო;
- რომელსაც მშობლის უფლება ჩამოერთვა ან შეეზღუდა მშობლის უფლებებისა და მოვალეობებისათვის თავის არიდების გამო;
- რომელიც მეურვის, მზრუნველის ან მხარდამჭერის მოვალეობისგან განთავისუფლებულია მისი არაჯეროვნად შესრულების გამო.²

ევროპის ქვეყნებში კანონმდებლობით იწვევება ქმედუნარიანი პირის მიერ სამომავლოდ შესაძლო ქმედუნარობის შემთხვევაში მეურვის კანდიდატურის დანიშვნის პროცედურები, სადაც ცენტრალური როლი ენიჭება თავად პირის სურვილს როგორც მეურვის, ასევე მკურნალობის მეთოდების შერჩევის თაობაზე.

გერმანიაში სამოქალაქო კოდექსში 2009 წელს შეტანილი ცვლილების თანახმად, ქმედუნარიან სრულწლოვანს უფლება აქვს შეადგინოს ანდერძი იმის თაობაზე, თანახმაა თუ კატეგორიული წინააღმდეგია, მოსალოდნელი ქმედუნარობის შემთხვევაში, ამა თუ იმ სახის ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენი ტესტების გავლაზე, მკურნალობაზე ან სამედიცინო ჩარევაზე. მეურვე ვალდებულია შეამოწმოს, სამეურვეო პირის გადაწყვეტილება შეესაბამება თუ არა მის ამჟამინდელ

¹ ჭანტურია, ლ.; ზოიძე, ბ.; ნინიძე, თ.; შენგელია, რ.; ხეცურიანი, ჯ. (2000). "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი V. თბილისი: "სამართალი". გვ. 316-317

² matsne.gov.ge (1997 წ. 26 ივნისი). საქართველოს კანონი "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი". მუხ: 1282; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=105>

(ჯანმრთელობის და მკურნალობის) მდგომარეობას და შესაბამისობის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი ნების შესრულება. ანდერძის შეცვლა დასაშვებია ნებისმიერ დროს. ასეთი ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ან თუ გადაწყვეტილება არ შეესაბამება სამეურვეო პირის მდგომარეობას, მეურვე ვალდებულია დაადგინოს სამეურვეო პირის სურვილი მკურნალობის მეთოდების მიმართ ან მისი სავარაუდო ნება. სავარაუდო ნება უნდა განისაზღვროს კონკრეტული ინდიკატორების საფუძველზე. კერძოდ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამეურვეო პირის ადრინდელი ზეპირი ან წერილობითი განცხადებები, ეთიკური ან რელიგიური მოსაზრებები და სხვა პიროვნული ფასეულობები. ზემოთქმული ვრცელდება მეურვეობის ქვეშ მყოფ ნებისმიერ პირზე მისი დაავადების ხასიათისა და სტადიის მიუხედავად (მუხ. 1901ა).¹

მსგავსი ვითარებაა **ნორვეგია**სა და **საფრანგეთში**. კერძოდ, **ნორვეგიაში** კანონით გათვალისწინებულია პირის სურვილი, დაენიშნოს ესა თუ ის პირი მეურვედ იმ დროისათვის, როცა თავად ვეღარ შეძლებს თავისი ეკონომიკური ინტერესების დაცვას; ასევე **საფრანგეთში** სრულწლოვან ქმედუნარიან პირს უფლება აქვს აირჩიოს მეურვე ან ორგანო, რომელიც განახორციელებს დამცავ ღონისძიებებს იმ დროისათვის, როცა მას აღარ ექნება გადაწყვეტილების მიღების უნარი.²

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

² საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1779-ე პარაგრაფით თუ მეურვეობის დაკისრება არ ხდება ზემო აღნიშნული წესის მიხედვით, საოჯახო საქმეთა სასამართლომ მეურვის კანდიდატი უნდა შეარჩიოს ახალგაზრდობის საქმეთა უწყების მოსმენის შემდეგ. საოჯახო საქმეთა სასამართლომ მეურვედ უნდა შეარჩიოს ის პირი, ვისაც თავისი პირადი თვისებებისა და ქონებრივი მდგომარეობის, ისევე როგორც სხვა გარემოებების მიხედვით შესწევს უნარი, განახორციელოს მეურვის ფუნქციები. რამდენიმე სათანადო კანდიდატურიდან შერჩევისას მხედველობაში მისაღებია მშობლების სავარაუდო სურვილი, სამეურვეო პირის პირადი კავშირები, სამეურვეო პირთან სისხლით ან ქორწინებით ნათესაობა, ისევე როგორც მისი სარწმუნოება. მეურვის შერჩევისას საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა მოუსმინოს სამეურვეო პირის სისხლით ან ქორწინებით ნათესავეებს, თუ ეს შეიძლება მოხდეს არსებითი დაყოვნების ან შეუსაბამო ხარჯების გარეშე.¹

გერმანიის კანონმდებლობა, ისევე როგორც ქართული განსაზღვრავს პირებს, რომლებიც არ შეიძლება დაინიშნონ მეურვეებად, თუმცა გერმანული კანონმდებლობა აღნიშნულს ჰყოფს 3 ჯგუფად:

- მეურვეობის განხორციელებისათვის უუნარო პირი;

აღნიშნულ ჯგუფში შედის პირი, რომელიც ქმედუუნაროა.

- მეურვეობის განხორციელებისთვის შეუსაბამო პირი:

აღნიშნული გულისხმობს პირს, რომელიც არასრულწლოვანია ან/და პირს, ვისაც დაენიშნა მზრუნველი.

- მე-3 ჯგუფში გაერთიანებულია პირები, რომელთა მეურვედ დანიშვნა გამოირიცხა მშობლების მიერ.

¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB. (მე-2 გ.) (2019 წ.). თბილისი; lawlibrary.info/ge გვ 436

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1786-ე პარაგრაფით გათვალისწინებულია მეურვეობის კისრებაზე უარის თქმის შესაძლებლობები. კერძოდ, მეურვეობის კისრებაზე უარის თქმა შეუძლია

- ✓ მშობელს, ვინც ძირითადად ახორციელებს ორ ან მეტ სკოლის ასაკის მიუღწეველ ბავშვზე ზრუნვას ან ადასტურებს, რომ მასზე დაკისრებული ოჯახზე ხანგრძლივი დროით გაართულებს დაკისრებული მოვალეობის განხორციელებას;
- ✓ პირს, რომელმაც მიაღწია 60 წლის ასაკს;
- ✓ პირს, ვინც ახორციელებს სამზე მეტი არასრულწლოვანი ბავშვის პიროვნებასა და ქონებაზე ზრუნვას;
- ✓ პირს, რომელსაც ავადმყოფობისა თუ ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია მეურვის მოვალეობათა სათანადო შესრულება;¹
- ✓ პირს, რომელსაც საოჯახო საქმეთა სასამართლოს ადგილსამყოფელიდან მისი საცხოვრებელი ადგილის სიშორის გამო განსაკუთრებული სირთულეების გარეშე არ შეუძლია მეურვის მოვალეობათა განხორციელება;
- ✓ პირს, რომელიც მეურვის მოვალეობათა განხორციელებისათვის უნდა დაინიშნოს სხვა პირთან ერთად;
- ✓ პირს, რომელიც ახორციელებს მეურვეობას, იურიდიულ მზრუნველობას ან სპეციალურ მზრუნველობას ერთზე მეტ შემთხვევაში, რამდენიმე და-ძმის მეურვეობა ან მათზე მზრუნველობა ითვლება როგორც მეურვეობის ან სპეციალური მზრუნველობის მხოლოდ ერთი შემთხვევა, ორზე მეტი საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის (Gegenvormundschaften) განხორციელება უთანაბრდება მეურვის მოვალეობათა განხორციელებას.

უარის თქმის უფლება უქმდება, თუ მის თაობაზე განცხადება მეურვის დანიშვნამდე არ წარედგინება საოჯახო საქმეთა სასამართლოს. პირი, ვინც

¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB. (მე-2 გ.) (2019 წ.). თბილისი; lawlibrary.info/ge გვ 436

უსაფუძვლოდ უარს აცხადებს მეურვეობის კისრებაზე, ბრალეულად მოქმედების შემთხვევაში პასუხისმგებელია იმ ზიანისთვის, რომელიც მიეყენება სამეურვეო პირს მეურვის დანიშვნის დაყოვნების შედეგად.¹

თავი II. მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობანი

2.1 მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობანი ქართულ სამართალში

მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობათა ანალიზისას მხედველობაშია მისაღები ის, რომ სრულწლოვანებას მიუღწეველი პირის მეურვის ან მზრუნველის უფლებები და მოვალეობები თითქმის იგივეა, რაც ბიოლოგიური მშობლებისა. ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, მათ არ ევალებათ მეურვეობაში მყოფი პირების

¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი *BGB*. (მე-2 გ.) (2019 წ.). თბილისი; lawlibrary.info/ge გვ 436-437

რჩენა. მართალია, ისინი განსაზღვრულ საქმიანობას ეწევიან რჩენის უზრუნველსაყოფად, მაგრამ ეს ხდება მეურვეობაში მყოფი პირის ქონების ან სხვა ფულადი შემოსავლის და არა საკუთარ ხარჯზე. ამიტომ, როცა მეურვის ან მზრუნველის უფლებებზეა საუბარი, იგულისხმება, რომ ისინი იმავე მოცულობითა და შინაარსით აქვთ მათ, როგორც მშობლებს.

მეურვეები და მზრუნველები, ძირითადად, სამეურვეო ან სამზრუნვეო პირთა ნათესავები ან ახლობლები არიან. ამიტომ კანონი თვლის, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის შესრულება მათი ზნეობრივი მოვალეობაა და არ შეიძლება მას ანაზღაურებადი ხასიათი ჰქონდეს, რადგან მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებაში ნებელობით მხარეს განსაკუთრებული ხასიათი ექცევა.¹

მეურვისა და მზრუნველის მოვალეობათა ანალიზისას მხედველობაშია მისაღები ის სპეციფიკური თავისებურებები, რომლებიც ერთის მხრივ, არასრულწლოვანისა და მეორეს მხრივ, სრულწლოვანი პირების მეურვეობისა და მზრუნველობისთვისაა დამახასიათებელი. არასრულწლოვანი პირის მურვე ან მზრუნველი ვალდებულია აღზარდოს იგი სულიერად, ხელი შეუწყოს მის ფიზიკურ განვითარებას, იზრუნოს მისი განათლებისა და ზნეობრივი კულტურის ჩამოყალიბებისთვის. მეურვისა და მზრუნველის ეს ზოგადი მოვალეობები სრულად ემთხვევა მშობლების მოვალეობებს, რითაც ხაზგასმულია ორივე კატეგორიის პირთა უპირველესი ამოცანა - ახალგაზრდა თაობის ნორმალურად აღზრდისთვის ნორმალური პირობების შექმნა.

მეურვე და მზრუნველი მოვალენი არიან იზრუნონ ბავშვის რჩენისთვის, შეუქმნან მას აუცილებელი ყოფითი პირობები. მეურვისა და მზრუნველის ოჯახში უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელშიც იგი თავს იგრძნობს როგორც მშობლიურ ოჯახში. ფულადი სახსრები, რომლებიც ერგება სამეურვეო პირს პენსიის, დახმარების, ალიმენტის ან სხვა სახით, გადადის მეურვის განკარგულებაში და

¹ შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ). თბილისი: "მერიდიანი"; გვ. 367-369

იხარჯება მის მიერ სამეურვეო პირის სარჩენად. თუ ეს სახსრები ამ მიზნით საკმარისი არ არის, მაშინ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვით, შეიძლება მათი ამოღება სამეურვეო პირის სხვა ქონებიდან. ასეთი ქონების არარსებობის შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამოყოფს სამეურვეო პირის რჩენის სახსრებს.

მეურვესა და მზრუნველს სისტემატური კავშირი უნდა ჰქონდეს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებისა და სკოლის აღმზრდელ პედაგოგებთან და ასრულებდეს მათ რჩევებს. ავადმყოფობის ან აღზრდის პროცესში გამოვლენილ სხვა პათოლოგიურ გადახრათა აღმოსაფხვრელად არასრულწლოვანს უნდა გაეწიო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. სამზრუნველო პირი თუ შრომით ურთიერთობაშია ჩაბმული, მზრუნველი უნდა ცდილობდეს იმას, რომ შრომა და სწავლა რაციონალურად იქნეს ერთმანეთთან შეხამებული.¹

განსაკუთრებული ამოცანები დგას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მეურვის წინაშე. ზემოთ აღნიშნულის გარდა, შეზღუდული შესაძლებლობების პირის მეურვე ვალდებულია სისტემატურად ადევნოს თვალყური სამეურვეო პირის ჯანმრთელობას და მის მუდმივ სამედიცინო მომსახურეობას. აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი სტაციონარული მკურნალობა. სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებისას, მეურვემ უნდა უზრუნველყოს მეურვეობაში მყოფი პირის საბინაო და სხვა უფლებების დაცვა.²

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2013 წლის კვლევით ყურადღება გაამახვილა მეურვეობა/მზრუნველობის უარყოფით მხარეებზე. კერძოდ, ცენტრის მოსაზრებით, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქმედუუნაროდ აღიარების პროცედურა აადვილებს ფსიქიკური დაავადების მქონე ადამიანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ან

¹ შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); მეორე გამოცემა. თბილისი: "მერიდიანი". გვ. 369-370

² შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); მეორე გამოცემა. თბილისი: "მერიდიანი". გვ. 369-370

თავშესაფარში მოთავსების პროცესს. არსებული კანონმდებლობით, ქმედუუნაროდ აღიარებული პირი თავისი ნების გარეშე შეიძლება იყოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებული არა „გამწვავებულ“ მდგომარეობაში სასამართლო პროცესის გარეშე, მხოლოდ მეურვის მიმართვიანობის საფუძველზე. მისი საავადმყოფოში ყოფნა ჩაითვლება „ნებაყოფლობით მკურნალობად“, თუნდაც ეს მკურნალობა და საავადმყოფოში მოთავსება მოხდა ქმედუუნაროდ აღიარებული პირის სურვილის წინააღმდეგ. ასეთი მოთავსების რეალური მიზეზი შეიძლება იყოს და ხშირ შემთხვევაში არის კიდევ არა სამედიცინო ჩვენება, არამედ სოციალური მიზეზები. მაგალითად, მეურვეს შეიძლება უჭირდეს ფსიქიკურად დაავადებულ ნათესავთან ცხოვრება და უბრალოდ, უნდოდეს ამ ადამიანის დაწესებულებაში „ჩაბარება“. ეს სურვილი გააჩნია არა მარტო მეურვეებს, არამედ ზოგადად ფსიქიკური დაავადების მქონე ადამიანის ოჯახის წევრებს და ნათესავებს: ზოგი მუშაობს და არ შეუძლია მიაქციოს ყურადღება თავის დაავადებულ ახლობელს, ზოგს მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავს და შიშობს, რომ ფსიქიკურად დაავადებულმა მათ რამე არ დაუშავოს, ზოგს კი უბრალოდ, უნდა კომფორტული ცხოვრება, ზედმეტი პრობლემების გარეშე. მეურვეობის გაფორმება ეფექტური ხერხია იმისათვის, რომ მეურვემ მიიღოს სრული კონტროლის უფლება დაავადებულზე, ასევე მის პენსიაზე და უპრობლემოდ გააგზავნოს ის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში „სამკურნალოდ“.

მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის ს/კ ინსტიტუტის იურისტის თქმით, მეურვეობის გაფორმების მთავარი მიზეზია ადამიანზე კონტროლის დამყარება, მისი პენსიის და სხვა ქონების განკარგვა და შესაძლებლობა, რომ მოათავსოს იგი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ასეთი ადამიანების უფლებების დაცვის მიზნით საავადმყოფო თავს იკავებს ქმედუუნაროდ აღიარების პროცედურისგან და შესაბამისად, ქმედუუნაროს სტატუსის მინიჭებაზე ამ ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიერ არც ერთი საქმე არ გაგზავნილა სასამართლოში. ქმედუუნაროდ აღიარების დროს ფსიქიკურად დაავადებული არ იღებს ინფორმაციას ამ პროცედურის მნიშვნელობის შესახებ, კერძოდ არ იცის, რომ ჩამოერთმევა ქონების განკარგვის,

ქორწინების, ხმის მიცემის, სასამართლოში სარჩელის შეტანის და სხვა უფლება. შესაბამისად, მას არ შეუძლია სათანადო პოზიცია დაიკავოს და აქტიური პროტესტი გამოხატოს სასამართლო პროცესის დროს. საქმე ურთულდება იმ გარემოებითაც, რომ პირის ქმედუნარობის დასადგენად ექსპერტიზა როცა ტარდება, ხშირად ამ პროცესს პაციენტი არც ესწრება და გადაწყვეტილება „დასკვნის საფუძველზე“ მიიღება. ქმედუნაროდ აღიარებული პირი შემდგომშიც არ ფლობს ინფორმაციას თავისი რეალური უფლებრივი მდგომარეობისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, არა აქვს კონტაქტი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან. ქმედუნაროდ აღიარებულმა პირებმა არც კი იცოდნენ ასეთი ორგანოს შესახებ.¹

სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მომუშავე „სოც. მუშაკებს ევალებათ მეურვეების ზედამხედველობა“. სოც. მუშაკებს სხვადასხვა სიხშირით ეგზავნება კითხვარები მეურვეების შესახებ, რომელთა საფუძველზე კეთდება დასკვნა მეურვის კეთილსინდისიერებაზე. ამასთან, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს არა აქვს პირადი კონტაქტი სამეურვეო პირთან. არც სამეურვეო პირს გააჩნია შესაბამისი კონტაქტის შესაძლებლობა და არ შეუძლია თავისი პოზიციის დაფიქსირება საჭიროების შემთხვევაში. მაგალითად, ქუტირში მყოფმა პაციენტმა აღნიშნა, რომ სურს მეურვის შეცვლა: მას ორი და ჰყავს, რომელთაგან ერთი მისი მეურვეა, მაგრამ პაციენტს არა აქვს კონტაქტი მასთან და ძირითადად, მასზე მეორე და ზრუნავს. ამ შემთხვევაში, ყველაზე დიდი პრობლემა, ისაა, რომ თავად ქმედუნაროდ აღიარებულ პაციენტს არ შეუძლია, პირდაპირ დაუკავშირდეს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს და არც ინფორმაციას ფლობს მეურვის შეცვლის პროცედურებზე.²

¹ ადამიანის უფლებათა ცენტრი. (2013). "საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებები - პრობლემები, საჭიროებები, რეკომენდაციები". HRIDC.; გვ 22-24; <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/fsiziatriuli-geo-fuul.pdf>

² ადამიანის უფლებათა ცენტრი. (2013). "საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებები - პრობლემები, საჭიროებები, რეკომენდაციები". HRIDC.; გვ 22-24; <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/fsiziatriuli-geo-fuul.pdf>

მეურვეებზე სრულფასოვანი კონტროლისთვის უნდა არსებობდეს ქმედუუნაროდ აღიარებული პირებისგან საჩივრების მიღების მექანიზმი, ყველაზე მარტივია – სატელეფონო ხაზი, რათა ყველა ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს ჰქონდეს უფლება, გამოთქვას თავისი აზრი და საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და მხარდაჭერა. ასეთი საჩივრების მიღების მექანიზმის შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სასამართლოში მიმართვის უფლება ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს არა აქვს. მეურვე კი, ვისი მეშვეობითაც ასეთი მიმართვა წესით უნდა ხორციელდებოდეს, ხშირ შემთხვევაში, თავად არღვევს სამეურვეო პირის უფლებებს და შესაბამისად, ვერ შეიტანს სარჩელს საკუთარი თავის წინააღმდეგ. ასევე საეჭვოა, რომ მეურვემ სამეურვეო პირს დახმარება აღმოუჩინოს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ქმედუუნაროს სტატუსის მოხსნას მოისურვებს. ფსიქიკური დაავადების მქონე ადამიანის ჯანმრთელობა დროთა განმავლობაში იცვლება. იმ პირს, ვისაც დროის გარკვეულ მონაკვეთში რეალურად არ შეეძლო გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღება, შეიძლება გამოვიდეს ასეთი უმწეო მდგომარეობიდან. მაგრამ სტატუსის შეცვლა და ქმედუუნარიანობის აღდგენა არა მხოლოდ ადამიანზე კონტროლის დაკარგვასთან არის ასოცირებული, არამედ საჭიროებს საკმაოდ მნიშვნელოვან ხარჯებს. ფსიქიკური აშლილობების მქონე ადამიანების უმეტესობა სოციალურად დაუცველია, მათ მხოლოდ პენსია გააჩნიათ. ქმედუუნაროდ აღიარებული პირები კი თავად პენსიას არ იღებენ. ეს მეურვეების „მოვალეობაა“. როგორც წესი, თუ ადამიანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია, პენსიას მეურვე პაციენტს სრული მოცულობით არ ახმარს. მეურვის კეთილსინდისიერების არსებული კრიტერიუმების თანახმად, საკმარისია, რომ იგი რეგულარულად ნახულობდეს პაციენტს და რაღაც მიჰქონდეს მისთვის. არავინ ამოწმებს, რეალურად რა თანხა დახარჯა პაციენტზე მეურვემ. ზოგიერთ შემთხვევაში, პაციენტი მეურვისგან იღებდა მხოლოდ სიგარეტს და შაქარს მცირე რაოდენობით, პენსიის

დანარჩენი ნაწილი კი პაციენტს არ ხმარდებოდა. აქედან ნათლად ჩანს, რომ ერთხელ დაკარგული ქმედუნარიანობის აღდგენა პაციენტისთვის თითქმის შეუძლებელია, რის გამოც მისი უფლებები რეალურად ირღვევა მთელი მისი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში. ამიტომ უნდა მოხდეს ამ პროცედურების გაადვილება, მაგალითად - ქმედუნაროს სტატუსის გადახედვის მიზნით, ექსპერტიზის უფასოდ ჩატარება. ზოგიერთ შემთხვევაში, სამეურვეო პირს საერთოდ არა აქვს კონტაქტი მეურვესთან და ვერც პენსიას ხედავს. პენსიის მიღების პრობლემა აქვთ იმ პაციენტებსაც, რომლებიც სარგებლობენ ქმედუნაროს სტატუსით, მაგრამ არა ჰყავთ მეურვე. ყველა ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გარკვეული ზომების მიღება და მეურვეობის სისტემის რეფორმა დღეს გადაუდებელი აუცილებლობაა. რაც შეეხება ხანგრძლივ პერსპექტივას, სასურველია, მეურვეობის სისტემა მთლიანად შეიცვალოს და დაინერგოს სხვა ტიპის ალტერნატიული სერვისები. იმ დროს, როცა საქართველო აპირებს შშმ პირთა უფლებების შესახებ ევროპული კონვენციის რატიფიცირებას, უნდა გვახსოვდეს, რომ კანონები მეურვეობის შესახებ ეწინააღმდეგება აღნიშნული კონვენციის მე-12(2) მუხლს, რომლის თანახმად: “მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაუნარიანობას სხვებთან თანასწორად, ცხოვრების ყველა სფეროში“.¹

მეურვეობამ, თუ არ ხდება მისი უფლებამოსილების გადაჭარბება, მეურვეობაში მყოფს სარგებელი უნდა მოუტანოს შემდეგ შემთხვევებში:

- პიროვნებას სჭირდება დახმარება პენსიის მიღებაში;
- პიროვნებას სჭირდება დახმარება ფინანსურ საკითხებში, ფულის მიზნობრივად ხარჯვაში;
- პიროვნების ქონებას სჭირდება დაცვა მისი გაყიდვის შესახებ უმიზეზო გადაწყვეტილებისგან;

¹ ადამიანის უფლებათა ცენტრი. (2013). "საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებები - პრობლემები, საჭიროებები, რეკომენდაციები". HRIDC.; გვ 22-24;
<http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/fsiziatriuli-geo-fuul.pdf>

- პიროვნებას სჭირდება ვინმე, ვინც იურიდიულად პასუხისმგებელი იქნება მასზე.¹

სრულწლოვანი პირების მეურვეობისა და მზრუნველობისთვის აღზრდის მომენტი არ არის დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში მეურვე ან მზრუნველი ვალდებული არიან უზრუნველყონ მეურვეობსა და მზრუნველობაშ მყოფი პირების რჩენა, ნორმალური ყოფითი პირობების შექმნა, მოვლა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა, პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვა. სრულწლოვანთა მიმართ უმეტესად მზრუნველობა წესდება. ამიტომ შესაძლებელია ისეთი შემთხვევები, როცა პირი ქმედუნარიანია, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობები. ასეთ ვითარებაში ყველა იურიდიულ მოქმედებას მზრუნველობაშ მყოფი პირი ასრულებს, მზრუნველი კი ხელს უწყობს მას თავისი ინტერესების დაცვაში.²

მოცემულ შემთხვევაში საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს საფრანგეთის კანონმდებლობაში, კერძოდ მეურვეობის დადგენისას, მოსამართლემ შეიძლება დაადგინოს იმ გარიგებათა სია, რომელიც მოწიფულს შეუძლია მეურვის დამოუკიდებლად აწარმოოს. იმის შეფასებაში, რა დავალებების შესრულების თავისუფლება უნდა შეუნარჩუნდეს ინდივიდს, მოსამართლემ უნდა მიიღოს კონსულტაცია სამედიცინო ექსპერტისგან (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი; წიგნი I; სათაური X; თავი II; მუხლი 420).³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1291-ე მუხლის თანახმად: „მეურვე ან მზრუნველი მოვალენი არიან იცხოვრონ სამეურვეო (სამზრუნველო)

¹ ადამიანის უფლებათა ცენტრი. (2010). *"ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანთა უფლებები საქართველოში"*. HRIDC.; <http://humanrights.ge>

² შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). *"საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ)*. თბილისი: "მერიდიანი". გვ. 371

³ ფსიქიკური უუნარობის დაცვის ცენტრი (2007). *"მეურვეობა და ადამიანის უფლებები საქართველოში"* მეურვეობის კანონის და პოლიტიკის ანალიზი. Mental Disability Advocacy Center. გვ. 57

არასრულწლოვან პირთან ერთად. ცალკეულ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვით შეიძლება მზრუნველისა და სამზრუნველო პირის ცალ-ცალკე ცხოვრება, თუ აღნიშნული ორგანო მივა იმ დასკვნამდე, რომ მათი ცალ-ცალკე ცხოვრება უარყოფით გავლენას არ მოახდენს სამზრუნველო პირის აღზრდაზე, მიის უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. მეურვე და მზრუნველი ვალდებული არიან საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შესახებ აცნობოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.“ ამავე მუხლის მე-3 ნაწილით ქმედუნარიანი სრულწლოვანის მზრუნველს მასთან თანაცხოვრების მოვალეობა არ ეკისრება, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 08 ოქტომბრის N2/4/532/533 გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მეურვის/მზრუნველის უფლებამოსილების შესახებ სამეურვეო/სამზრუნველო პირის ნაცვლად გარიგების დადების შემთხვევაში განმარტა, რომ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გულისხმობს ადამიანის უფლებას, საკუთარი სურვილების შესაბამისად განაგოს თავისი ცხოვრება, თუნდაც საზოგადოების უმრავლესობის ან საშუალო გონიერი ადამიანის ხედვით ეს სურვილები არასათანადო და მიზანშეუწონელი იყოს. შეხედულებები საკუთარი შინაგანი სამყაროს და გარესამყაროსთან ურთიერთობის ფორმისა და შინაარსის შესახებ იმდენად ინდივიდუალურია, რომ შეუძლებელია ასეთი შეხედულებების სრული თანხვედრა არსებობდეს, თუნდაც სოციალურად თუ ბიოლოგიურად ახლოს მყოფ ადამიანებს შორის. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1290-ე მუხლის შესაბამისად, მოქმედი მეურვე, რამდენადაც კეთილსინდისიერად არ უნდა მოქმედებდეს ან რამდენადაც სოციალურად თუ ბიოლოგიურად ახლოს არ უნდა

¹ matsne.gov.ge (1997 წ. 26 ივნისი). საქართველოს კანონი "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი". მუხ: 1291; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=105>

იყოს სამეურვეო პირთან, მისი ნების სრულფასოვანი ჩამნაცვლებელი ვერასოდეს გახდება.¹

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნების სამართლებრივი პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფოების დიდი ნაწილის შესაბამისი რეგულაციები, მეურვეობის პირობებშიც კი, სათანადოდ ასახავს სამეურვეო პირის ნებას მათი სახელით გარიგებების დადებისას. მსგავსი რეგულაციებით დადგენილია მეურვის მიერ გარიგების დადებისას სამეურვეო პირის უშუალო ნების გათვალისწინება, მეურვის კონტროლს ქვეშ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გარიგების დადების შესაძლებლობა, მეურვის დახმარება სამეურვეო პირის ნების ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ა.შ. დასახელებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ნების ასახვა მისი სახელით განხორციელებულ ქმედებებში მძიმე ფორმებით გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაშიც კი არის შესაძლებელი.

საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს და სხვა სრულწლოვან პირებს, რომელთაც არ აქვთ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები, ერთმანეთის თანაბრად აქვთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოფითი, წვრილმანი სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების დადების მოთხოვნილება და იმ სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებების დადების ნაწილში, რომელთა შინაარსის აღქმა და გაცნობიერება შეუძლიათ ქმედუუნარო პირებს, ეს პირები სხვა სრულწლოვან, ქმედუუნარიან პირებთან მიმართებით არსებითად თანასწორი სუბიექტები არიან.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/4/532/533; (08.10.2014). „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

ამავდროულად, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირები და პირები, რომლებიც ქმედუუნაროდ არ არიან აღიარებულნი, მაგრამ აღიარებისათვის საჭირო წინაპირობებს აკმაყოფილებენ, არსებითად ანალოგიურ პირობებში მყოფი პირები არიან და უნდა შეფასდნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები. არსებითად თანასწორი სუბიექტების განსაზღვრის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, არის თუ არა სახეზე უთანასწორო მოპყრობა. განსახილველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს და სხვა სრულწლოვან პირებს, რომელთა მიმართაც არ არსებობს ქმედუუნაროდ აღიარების საფუძველი, ხდება დიფერენცირებული მოპყრობა, რადგან ქმედუუნარო პირებს, ქმედუუნარიანებისგან განსხვავებით, არ აქვთ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეიძინონ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, დამოუკიდებლად გამოვიდნენ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში, მიიღონ გადაწყვეტილება საკუთარი მკურნალობის შესახებ და ა.შ.¹

მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეურვეო და სამზრუნველო პირთა ქონებრივი ინტერესების დაცვა. სსკ-ის 1293-ე მუხლი ითვალისწინებს მეურვის სამეურვეო პირის კანონიერ წარმომადგენლობას და მისი სახელით, მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი გარიგებების დადებას. 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი ისეთ გარიგებას, რომლის დამოუკიდებლად დადების უფლებაც მას კანონით არ აქვს, დებს მზრუნველის თანხმობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ასევე გათვალისწინებულია მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილებათა შეზღუდვა. ეს გამოწვეულია იმით, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა თავიანთი საკონტროლო ფუნქციების განხორციელების პროცესში უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ სამეურვეო და

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/4/532/533; (08.10.2014). „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

სამზრუნველო პირების ინტერესების დაცვას, რომ ზოგიერთი გარიგების დადებას სამეურვეო ან სამზრუნველო პირისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მეურვის ან მზრუნველის ერთპიროვნული გადაწყვეტილება ასეთი გარიგების დადების თაობაზე, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო შეიძლება არასასურველი სამართლებრივი შედეგების მომტანი გახდეს სამეურვეო ან სამზრუნველო პირისთვის. ამიტომ ზოგიერთი გარიგების დასადავად, მეურვისა და მზრუნველისთვის საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების წინასწარი თანხმობა.¹

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით N330210017001811158 საქმეზე განმარტა, რომ „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისაგან.²

სასამართლო განმარტავს, რომ ეკონომიკურ ექსპლუატაციაში იგულისხმება ბავშვის შრომითი რესურსის ბოროტად გამოყენება, ასევე მისი ქონებით არამიზნობრივად, ბავშვის ინტერესების საზიანოდ სარგებლობა, ბავშვის ქონების ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ განკარგვა. ბავშვის ქონებით არამიზნობრივი სარგებლობა სახეზეა, როდესაც სარგებლობას ბავშვის ქონების შემცირება ან მისი სრული მოსპობა სდევს თან და, ამასთან, ამგვარი სარგებლობის მიზანს ბავშვის ინტერესი არ ამართლებს. ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, რაღა თქმა უნდა, არაპირდაპირ, თუმცა, მაინც, ბავშვის ინტერესებშია, ბავშვის ქონება უნდა განიკარგოს მხოლოდ ბავშვის ინტერესებში. ქონების განკარგვა, მათ შორის, ქონების გასხვისება, ბავშვის პირდაპირ ინტერესს შეესაბამება, თუ ბავშვის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება ბავშვის ისეთ მაღალ ინტერესს შეესატყვისება,

¹ ჭანტურია, ლ.; ზოიძე, ბ.; ნინიძე, თ.; შენგელია, რ.; ხეცურიანი, ჯ. (2000). "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი V. თბილისი: "სამართალი". გვ. 342

² თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება; (21.11.2018); საქმე N330210017001811158; <http://ecd.court.ge/Decision#!>

როგორცაა, მისი ჯანმრთელობა, განათლება, უსაფრთხოება და ა.შ. ბავშვის ქონების განკარგვა ბავშვის ინტერესებს შეესაბამება, თუ ქონების განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ხმარდება, ბავშვის სათანადო განათლებას, მის უსაფრთხო გარემოში ცხოვრებას უზრუნველყოფს, ბავშვის ნორმალურ განვითარებას ემსახურება და ა.შ.¹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ლაზარევი რუსეთის წინააღმდეგ განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც ქონება ბავშვის საკუთრება ხდება, მიუხედავად იმისა, თუ რა საფუძვლით, კერძოდ, მემკვიდრეობით და ა.შ., მისი უფლება ქონებაზე იმთავითვე დაცვის ქვეშ ექცევა და შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მეურვეობის ორგანოს ნებართვის არსებობა მისი განკარგვის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის, სავალდებულოა. აქვე სასამართლო განმარტავს, თუ რა მიზანს ემსახურება ბავშვის ქონების განკარგვის საქმეში კანონმდებლობით სავალდებულო პირობად აღიარებული მეურვეობის ორგანოს თანხმობა. სასამართლოს განმარტებით, ბავშვები და მოხუცი ადამიანები ბინებთან დაკავშირებული თაღლითური ტრანზაქციების მთავარი სამიზნეები არიან, შესაბამისად, მეურვეობის ორგანოს ინტერესი, არ დაუშვას არასრულწლოვანის ქონების გასხვისება, არის ლეგიტიმური და გამლიერებული დაცვის ღირსი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მეურვეობის ორგანო მოწოდებულია, დარწმუნდეს, რომ ბავშვის ფინანსური ინტერესები და უფლება საცხოვრებელ სახლზე ბოროტი ან გულგრილი მოქმედებებით მათი კანონიერი წარმომადგენლების, მათ შორის ბიოლოგიური მშობლების მხრიდან, არ ირღვევა.

ამასთან, ერთ-ერთ საქმეზე, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო განმარტავს: “ბავშვის უფლებების საერთაშორისო კონვენციის მუხლი 3-ის მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი

¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება; (21.11.2018); საქმე N330210017001811158; <http://ecd.court.ge/Decision#!>

განმახორციელებელი, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები. ეს ნიშნავს, რომ ბავშვის სახელით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში, მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის იმ საპროცესო უფლების მსგავსი, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, ქმედების პროცესში დანერგოს ისეთი ნაბიჯები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება“.¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილებათა განხორციელებისას განსაზღვრულია შემდეგი აკრძალვები:

- სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ შეიძლება;
- მეურვესა და მზრუნველს, მათ მეუღლეებსა და ახლო ნათესავებს უფლება არ აქვთ დადონ გარიგებები სამეურვეო (სამზრუნველო) პირთან, აგრეთვე არ შეიძლება, რომ ისინი იყვნენ იმ პირის წარმომადგენლებად გარიგების დადებისას ან სასამართლოში საქმის წარმოებისას სამეურვეო (სამზრუნველო) პირსა და მეურვის ან მზრუნველის მეუღლესა და მათ ახლო ნათესავებს შორის.

მეურვისა და მზრუნველის მოქმედება შეიძლება გაასაჩივროს დაინტერესებულმა პირმა, მათ შორის სამეურვეო (სამზრუნველო) პირმაც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში სამეურვეო (სამზრუნველო) პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.²

¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება; (21.11.2018); საქმე N330210017001811158; <http://ecd.court.ge/Decision#/>

² matsne.gov.ge (1997 წ. 26 ივნისი). საქართველოს კანონი "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი". მუხ: 1296; 1297; 1298

2.2 მეურვისა და მზრუნველის უფლება-მოვალეობების რეგულირება საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

ევროპის ქვეყნებში მოქმედი კანონმდებლობა მხარს უჭერს პირის არა ზოგადად ქმედუუნაროდ, არამედ იმ ნაწილში ქმედუუნაროდ გამოცხადებას, რისი განხორციელების უნარიც არ შესწევს და მეურვე ინიშნება კონკრეტული მიზნით, მაგალითად: გადაადგილებაში, საოჯახო საქმეების შესრულებაში, ფინანსების განკარგვის საქმეში და ა.შ. დასახმარებლად, ანუ სასამართლო ადგენს პირის სრულ ან ნაწილობრივ ქმედუუნარობას.

ზოგ ქვეყანაში ქმედუუნარობა გულისხმობს სამართლებრივი მოქმედებების განხორციელების სრულად ან ნაწილობრივ აკრძალვას, ზოგჯერ კი ორზე მეტი ვარიანტითაა გათვალისწინებული.

გერმანიაში მეურვე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ამოცანათა იმ ჯგუფის შესასრულებლად, რომლის შესასრულებლადაც საჭიროა მეურვეობა. გერმანულ სამართალში უპირატესობა ენიჭება შეზღუდულ მეურვეობას. უმეტეს შემთხვევებში მეურვე ინიშნება მკურნალობისა და ფინანსური მენეჯმენტის ზედამხედველობის მიზნით, ასეთ შემთხვევებში სამეურვეო პირი ინარჩუნებს ქმედუუნარიანობას.

ნორვეგიის კანონით სამეურვეო პირს მეურვე ინიშნება ზოგადად მისი საქმეების წარმართვის ან კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად. მეურვის უფლებების მოცულობა განისაზღვრება მისი დანიშვნის დროს და ის არ უნდა სცილდებოდეს აუცილებლობის ფარგლებს.

ესტონეთში პირის ქმედუუნარიანობა შეზღუდულად ითვლება იმ ფარგლებში, რა მოვალეობების შესასრულებლადაც ინიშნება მეურვე (*მუხ. 8-3*). მეურვის მოვალეობების ფარგლები დგინდება სასამართლო პროცესზე.

შვედეთის კანონით მეურვე ორის სახისაა: მენტორი და ნდობით აღჭურვილი პირი. მენტორი სამეურვეო პირს უწევს დახმარებას ისე, რომ არ ზღუდავს მის ქმედუუნარიანობას, ნდობით აღჭურვილ პირს კი ნიშნავენ მამინ, როცა სამეურვეო

პირს არ შეუძლია წარმართოს თავისი ქონებრივი და ფინანსური საქმეები ან იზრუნოს საკუთარ თავზე. ნდობით აღჭურვილი პირის მანდატში დაწვრილებით არის გაწერილი, თუ რა კონკრეტული შეზღუდვები უწესდება სამეურვეო პირს (*კანონი მშობლებისა და მეურვეობის შესახებ, თ. 11, მუხ. 7*).

ავსტრიის კანონმდებლობით მეურვე ინიშნება ერთი ან რამდენიმე ამოცანის შესრულების მიზნით ან ეძლევა სრული მეურვეობის უფლება (*სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 268-3*).¹

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში გამოყოფილი და კლასიფიცირებულია მეურვეობის სახეები. მეურვეობა სამი სახისაა: სასამართლო დაცვა, კურატორობა და ტუტორობა. სასამართლო დაცვა შეიძლება გამოყენებული იქნეს პირის მიმართ, რომელსაც ესაჭიროება დროებითი დაცვა ან დახმარება. კურატორობა უწესდება პირს, რომელიც არ არის სრულად ქმედუნარო და ესაჭიროება დახმარება ან ზედამხედველობა გარკვეული ქმედებების განხორციელებაში. კურატორი ეხმარება პირს შემოსავლებისა და ფინანსების მენეჯმენტში, მაგრამ არ ერევა მის სოციალურ ცხოვრებაში. კურატორობაც, თავის მხრივ, ორი სახისაა: მარტივი კურატორობა და ინტენსიური კურატორობა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში კურატორი წყვეტს შემოსავლების გამოყენების საკითხებს. ტუტორი იღებს გადაწყვეტილებას სამეურვეო პირის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, მეურვეობა ეხება როგორც ფინანსებს, ასევე თავად სამეურვეო პირს.

საფრანგეთის მსგავსად **ნიდერლანდების** სამოქალაქო კოდექსიც ასევე ითვალისწინებს სამი სახის მეურვეობას, ესენია: დამცავი ნდობა, რაც გულისხმობს ქმედუნარო პირის ქონებრივი და ფინანსური ინტერესების დაცვას, მენტორობა -

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

დაცვას მოვლისა და მკურნალობის მხრივ, სრული მეურვეობა - რაც გულისხმობს პირის ინტერესების დაცვას როგორც ქონებრივი და ფინანსური საკითხების, ასევე მოვლისა და მკურნალობის მხრივ (*სამოქალაქო კოდექსი, თ. 19, მუხ. 431; თ. 20, მუხ.450; თ. 16, მუხ.378-379*).¹

საბერძნეთში კანონმდებლობა ითვალისწინებს მეურვეობის რამდენიმე სახეს: მეურვეობა, რომელიც ქმედუნარო პირს სრულად ან ნაწილობრივ უზღუდავს საქმიანი გარიგებების დადების უფლებას და მეურვეობა, რომლის შემთხვევაშიც საქმიანი გარიგება კანონიერ სახეს იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ქმედუნარო პირთან ერთად ხელს აწერს მისი მეურვე, სასამართლომ შეიძლება დააწესოს მეურვეობა ამ ორი მოდელის შერწყმის საფუძველზე (*სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1676*).

ევროპის ქვეყნებში აკრძალულია იძულებითი მკურნალობა და აუცილებელია პაციენტის აზრის გათვალისწინება მკურნალობის მეთოდებთან დაკავშირებით კანონით დადგენილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წელს ორი გახმაურებული საქმის გამო, რომლებიც შეეხებოდა იძულებით მკურნალობას, დაასკვნა, რომ დაუშვებელია პირისათვის სხვებისთვის ზიანის მიყენების საპასუხოდ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დანიშვნა, ანუ პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებითი მოთავსება ადარ უნდა გაიგივებულიყო იძულებითი მკურნალობის ჩატარების აუცილებლობასთან. 2012 წელს გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით შეზღუდვები დაწესდა მეურვეობის საკითხებზეც,

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

კერძოდ, მომვლელი შეიძლება დაეთანხმოს იძულებით მკურნალობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

„1. სამეურვეო პირს არ შეუძლია გააცნობიეროს სამედიცინო ღონისძიებების აუცილებლობა ან არ შეუძლია იმოქმედოს შესაბამისად ფსიქიკური დაავადების ან ფსიქიკური დარღვევების გამო;

2. ადრე ჰქონდათ უშედეგო მცდელობა დაერწმუნებინათ სამედიცინო ღონისძიებების გატარების აუცილებლობაში;

3. იძულებითი სამედიცინო ღონისძიებები სასარგებლო იქნება მისთვის ჯანმრთელობისათვის არსებითი ზიანის მიყენების საფრთხის აცილების მიზნით;

4. ჯანმრთელობისათვის არსებითი ზიანის მიყენების თავიდან აცილება შეუძლებელია სხვა ღონისძიებით, რაც შეიძლება გონივრულ ფარგლებში გამოყენებული იქნეს ამ პირის მიმართ;

5. იძულებითი სამედიცინო ღონისძიებების მოსალოდნელი შედეგი ნათლად აჩარბებს მოსალოდნელ გაუარესებას“ (*სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1906-3*). ეს ნიშნავს, რომ ფსიქიატრიული დიაგნოზის მქონე პაციენტებს ისევე შეუძლიათ თვითგამორკვევა, როგორც სხვა ყველა პაციენტს, ანუ უფლება აქვთ მიიღონ სრული ინფორმაცია სამედიცინო და მოვლის ღონისძიებებზე და უფლება აქვთ უარი თქვან მკურნალობაზე. მეურვე ვალდებულია სასამართლოს მიმართოს ნებართვის მისაღებად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, რაც უკავშირდება თერაპიულ მკურნალობასა თუ ქირურგიულ ჩარევას, როცა შეიძლება სერიოზული საფრთხე დაემუქროს სამეურვეო პირის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება სამედიცინო ჩარევაზე უარის თქმა, ასეთ შემთხვევებში არსებითი მნიშვნელობა აქვს სამეურვეო პირის სურვილს. სასამართლო გადაწყვეტილება აუცილებელი არ არის იმ შემთხვევაში, თუ მეურვე და მკურნალი ექიმი შეთანხმდებიან სამედიცინო ჩარევის ფორმაზე და ეს გადაწყვეტილება შეესაბამება სამეურვეო პირის სურვილს (*სკ, მუხ. 1904*).

ინგლისსა და უელსში სამედიცინო გამოკვლევაზე ან მკურნალობაზე აუცილებელია მიღებული იქნეს პაციენტის ინფორმირებული თანხმობა. თანხმობა უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი. თუ პაციენტს არ მიეწოდა საკმარისი ინფორმაცია მისთვის გასაგები ფორმით, მისი თანხმობა ან უარი ბათილად ითვლება. ფსიქიკური დარღვევა ან მოშლილობა არ ნიშნავს იმას, რომ პაციენტს არ აქვს მკურნალობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უნარი. გადაწყვეტილების მიღების უნარი ნიშნავს, რომ მას ესმის რა სახის მკურნალობას ეხება საქმე, რა არის მისი მიზანი; აცნობიერებს მკურნალობის დადებით და უარყოფით მხარეებს, რისკებსა და უპირატესობებს, აცნობიერებს მკურნალობაზე უარის თქმის შემთხვევაში დამდგარ შესაძლო შედეგს, ამჟღავნებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ამ ინფორმაციის გაგებისა და გაანალიზების უნარს; შეუძლია მიღებული გადაწყვეტილების გადმოცემა.¹

საფრანგეთის კანონით გარკვეული უნდა იქნეს პაციენტის თვალსაზრისი მკურნალობის გეგმის შესახებ (*კანონი საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ, მუხ. 3211-2-1*).

ზემოთ მოყვანილი ქვეყნების კანონმდებლობის თანახმად, თუ პირი მიჩნეულია ნაწილობრივ ქმედუუნაროდ, მას საქმიანი გარიგების დადების უფლება ეკრძალება არა სრულად, არამედ იმ ნაწილში, რაშიც ცნობილია ქმედუუნაროდ.

ავსტრიაში მეურვის ყოველი გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს სამეურვეო პირის სურვილს. შეხედულებათა სხვადასხვაობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

იღებს მოსამართლე სამეურვეო პირის კეთილდღეობიდან გამომდინარე (*კანონი მეურვეობის შესახებ, მუხ. 281*).

გერმანიაში სამეურვეო პირს საქმიან გარიგებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს სამართლებრივი ქმედუნარიანობის შესაბამისად. პირი სამართლებრივად არაკომპეტენტურად მიჩნეულია იმ შემთხვევაში, თუ არ აქვს უნარი მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი სურვილის მიხედვით გონებრივი აქტივობის ან მდგომარეობის პათოლოგიური დარღვევის გამო და ეს დარღვევა არ არის დროებითი. გერმანულ სამართალში არსებობს ნაწილობრივი არაკომპეტენტურობა, რაც ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საქმიანი გარიგების რომელიმე ნაწილში.¹

საფრანგეთში საქმიანი გარიგებების დადების უფლება სამივე სახის მეურვეობის ქვეშ მყოფი პირისათვის განისაზღვრება დაცვის კონკრეტული ფორმის ხასიათიდან გამომდინარე. ზოგადად, სამეურვეო პირს უფლება აქვს განახორციელოს ყველა სახის გარიგება, გარდა იმისა, რაც აკრძალულია მოსამართლის მიერ და გადაცემული აქვს მეურვეს. მხოლოდ პირი, რომელსაც ენიშნება ტუტორი, მიჩნეულია სამართლებრივად ქმედუნაროდ და მის ნაცვლად ყველა გარიგებას დებს ტუტორი.

საბერძნეთის კანონმდებლობით სამეურვეო პირს უფლება აქვს აიღოს პასუხისმგებლობა იმ მოქმედებებზე, რაც სასამართლოს მიერ არ არის შეტანილი სამეურვეო ამოცანათა ჯგუფში (*სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1697*).

შვედეთში სამეურვეო პირს, რომელსაც დაუწესდა ნდობით აღჭურვილი პირის მეურვეობა, უფლება აქვს დადოს დასაქმების კონტრაქტი, დახარჯოს თავისი ხელფასი და აკონტროლოს სხვა ფინანსური საკითხები, მაგალითად, დაზღვევის ან

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

საპენსიო ფონდებში თანხის შეტანა (კოდექსი მშობლებისა და მეურვეობის შესახებ, თ. 11, მუხ. 8)

ინგლისი, უელსი სამეურვეო პირის მიერ დადებული ყველა გარიგება აპრიორი ბათილად არ ითვლება. სამეურვეო პირს არ აქვს ისეთი გარიგების დადების უფლება, რომელიც ქმედუნარიანობის შესახებ 2007 კანონით სასამართლოს უფლებამოსილების სფეროშია გადასული. გარიგება ბათილად ცხადდება თუნდაც მეორე მხარემ არ იცოდეს, რომ პირის საქმეებს განაგებს სასამართლო. სასამართლოს უფლება აქვს ამგვარი გარიგების დადების უფლება მიანიჭოს მეურვეს. სასამართლოში ქმედუნარო პირის ინტერესებს იცავს ე.წ. „მოდავე მეგობარი“, თუ ქმედუნარო პირი მოპასუხეა - მის ინტერესებს იცავს მეურვე.

ევროპის ქვეყნებში ქმედუნაროდ აღიარება არ ნიშნავს პირისათვის ავტომატურად ქორწინების უფლების ჩამორთმევას.¹

საფრანგეთში სასამართლო დაცვის ქვეშ მყოფ პირს არ სჭირდება ქორწინების ნებართვა. პირს, რომელსაც დანიშნული ჰყავს კურატორი, ქორწინებისათვის საჭიროებს კურატორის ნებართვას. იმ პირისათვის, რომელსაც დანიშნული ჰყავს ტუტორი, აუცილებელია მოსამართლის ან საოჯახო საბჭოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობა მომავალ მეუღლეებთან გასაუბრების და საჭიროების შემთხვევაში ნათესავებისა და მეგობრების აზრის მოსმენის შემდეგ.

ესტონეთის კანონით შეზღუდული ქმედუნარიანობის პირის ქორწინება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ის ადეკვატურად აცნობიერებს ქორწინების სამართლებრივ შედეგებს. თუ პირს დანიშნული ჰყავს მეურვე, ივარაუდება, რომ მას

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

არ შესწევს უნარი, გააცნობიეროს ქორწინების სამართლებრივი შედეგები, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილებაში მეურვის დანიშვნის თაობაზე (*კანონი ოჯახის შესახებ, მუხ. 1-4*).

ინგლისსა და უელსში ქორწინება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარეს გაცნობიერებული აქვს ქორწინების მნიშვნელობა. სამეურვეო პირს შეზღუდული ქმედუნარიანობის გამო არ ეკრძალება ქორწინების უფლება, თუკი აცნობიერებს საქორწინო კონტრაქტის შედეგებს. ქორწინების შესახებ უნდა ეცნობოს დაცვის სასამართლოს იმ შემთხვევაში, თუ ეს გავლენას ახდენს სამეურვეო პირის ფინანსურ მდგომარეობაზე.

გერმანიაში სამეურვეო პირის ან ქონებისთვის ზიანის მიყენების პრევენციისათვის სასამართლო მოითხოვს მეურვის წერილობით თანხმობას სამეურვეო პირის მიერ განზრახული ისეთი მოქმედების შესრულებაზე, რომელიც შედის სამეურვეო ამოცანათა ჯგუფში. მეურვის წერილობითი თანხმობა არ არის აუცილებელი ქორწინების შემთხვევაში (*მუხ. 1903*).¹

თავი III. მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები

3.1 მეურვისა და მზრუნველის განთავისუფლება მათი მოვალეობებისგან ქართული კანონმდებლობის მიხედვით

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება არა წინასწარ განსაზღვრული დროის რომელიმე მონაკვეთით, არამედ მთელი იმ პერიოდის მანძილზე, რომელიც საჭიროა

¹ საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15). <http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>

სამეურვეო და სამზრუნველო პირების უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება მეურვის ან მზრუნველის გათავისუფლება მათი მოვალეობისგან, როგა კი ამის აუცილებლობა დადგება.¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1299-ე მუხლი ითვალისწინებს მეურვისა და მზრუნველის გათავისუფლებას მათი მოვალეობებისგან. კერძოდ:

- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მეურვესა და მზრუნველს მათის მოვალეობებისგან ათავისუფლებს ბავშვის მშობლებისთვისთვის მშობლის მოვალეობის სრულად აღდგენის ან ბავშვის გაშვილების შემთხვევაში;
- მეურვე და მზრუნველი შეიძლება განთავისუფლდნენ თავიანთი მოვალეობისგან, აგრეთვე პირადი თხოვნის საფუძველზე, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ცნობს, რომ ეს თხოვნა საპატიო მიზეზით არის გამოწვეული (ავადმყოფობა, მატერიალური მდგომარეობის შეცვლა, სამეურვეო ან სამზრუნველო პირთან შეუთვისებლობა და სხვა).

მშობლები და მშვილებლები სხვა მეურვეებთან შედარებით ბავშვის აღზრდის უპირატესი უფლებით სარგებლობენ. შესაძლებელია მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირი შვილად აიყვანოს მისმა მეურვემ ან მზრუნველმა. ამ შემთხვევაში სამეურვეო ან სამზრუნველო ფუნქციის განხორციელება მას დაეკისრება მშობლის უფლება-მოვალეობათა განხორციელებიდან გამომდინარე.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია მეურვე ან მზრუნველი გაათავისუფლოს თავისი მოვალეობისგან პირადი თხოვნის საფუძველზე. თხოვნის დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს ზემოთ აღნიშნული საპატიო მიზეზები. ჩამოთვლილ მიზეზთა გარდა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, შეიძლება სხვა მიზეზიც ჩათვალოს საპატიოდ. ყველა შემთხვევაში

¹ შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ.) თბილისი: "მერიდიანი". გვ. 385

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო უნდა დარწმუნდეს, რომ თხოვნის დაკმაყოფილება სამეურვეო ან სამზრუნველო პირის ინტერესებს შეესაბამება.¹

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თუ ჩათვლის, რომ მეურვის ან მზრუნველის თხოვნის დაკმაყოფილებისთვის არ არსებობს საპატიო მიზეზი, გამოიტანს გადაწყვეტილებას მეურვის ან მზრუნველის თავისი ფუნქციებისგან გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ.

რადგან მზრუნველობის დაწესება სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირისათვის მისი სურვილითაა შესაძლებელი, ასევე მისი თხოვნის საფუძველზე უნდა მოხდეს მზრუნველობის გაუქმება და მზრუნველის განთავისუფლება მოვალეობისაგან. ასეთ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შეუძლია სამზრუნველო პირთან შეთანხმებით მას მზრუნველად სხვა პირი დაუნიშნოს.

კანონი ითვალისწინებს მეურვის ან მზრუნველის გადაყენებას ან გათავისუფლებას იმ შემთხვევაში, როცა მათი ფუნქციის შეუსრულებლობა სუბიექტურ ფაქტორზეა დამყარებული. სამეურვეო ან სამზრუნველო ფუნქციის არასათანადოდ შესრულება შეიძლება გახდეს ასეთი საფუძველი. მეურვის ან მზრუნველის დროებით გადაყენება არ იწვევს მეურვეობის ან მზრუნველობის შეწყვეტას, თუ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო არ დარწმუნდა იმაში, რომ ადგილი აქვს სამეურვეო ან სამზრუნველო ფუნქციების არასათანადოდ შესრულებას. მეურვის ან მზრუნველის ფუნქციების არასათანადოდ შესრულება ყოველთვის არ იყოს დაკავშირებული მათ ბრალეულ მოქმედებასთან. შესაძლებელია, მეურვე ან მზრუნველი თავის მოვალეობას ვერ ასრულებდეს იმის გამო, რომ არა აქვს სათანადო ცხოვრებისეული გამოცდილება, ამა თუ იმ სახის საქმიანობის უნარი, შესაბამისი განათლება და ა.შ. ამ შემთხვევაში მთავარია მეურვის ან მზრუნველის მიერ თავისი ფუნქციების არასათანადოდ შესრულების ფაქტის არსებობა.

¹ ჭანტურია, ლ.; ზოიძე, ბ.; ნინიძე, თ.; შენგელია, რ.; ხეცურიანი, ჯ. (2000). "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი V. თბილისი: "სამართალი". გვ. 349-350

3.2 მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლები ქართულ და გერმანულ სამართალში

საქართველოს კანონმდებლობა იმპერატიულად განსაზღვრავს მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლებს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1302-ე მუხლით: „მეურვეობა შეწყდება თუ:

- ა) გარდაიცვალა სამეურვეო პირი;
- ბ) სამეურვეო არასრულწლოვანმა პირმა მიაღწია შვიდი წლის ასაკს;
- გ) სამეურვეო არასრულწლოვანი პირის, რომელსაც არ შესრულებია შვიდი წელი, მშობელს აღუდგა მშობლის უფლებები და მოვალეობები.”

მეურვეობა აუცილებლად უნდა შეწყდეს სამეურვეო პირის გარდაცვალების შემთხვევაში. ამ დროს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დასტურდება სამეურვეო პირის გარდაცვალების ფაქტი, რაც საფუძვლად ედება მეურვეობის შეწყვეტას. მეურვის გარდაცვალება არ წარმოადგენს მეურვეობის შეწყვეტის საფუძველს. ამ შემთხვევაში ხდება მეურვის შეცვლა, მეურვეობა კი კვლავაც ძალაშია. იგივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა მეურვე ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს ან ხანგრძლივ მივლინებაში მიემგზავრება და სხვა.

მეურვეობა შეწყდება, თუ სამეურვეო მცირეწლოვანმა მიაღწია შვიდი წლის ასაკს. ამ ასაკიდან იგი გადადის სამზრუნველო პირთა კატეგორიაში. აქ არ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირი სასამართლოს მიერ შეიძლება ავადმყოფობის გამო აღიარებულ იქნეს ქმედუნაროდ. მაშნ მეურვეობა შეიძლება შვიდი წლის ასაკს გადაცილებულ არასრულწლოვანზეც გავრცელდეს. მეურვეობის შეწყვეტის ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს შვიდ წლამდე ბავშვის მშობლებისთვის შეზღუდული ან ჩამორთმეული უფლებებისა და მოვალეობების

აღდგენა. ასეთ შემთხვევაში ბავშვი აღსაზრდელად უბრუნდება მშობლებს. შვილის პირადად აღზრდის უფლება პრიორიტეტულია ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული სხვა პირების უფლებებთან შედარებით.¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მსგავსად ქართული კანონმდებლობისა ითვალისწინებს მეურვეობის შეწყვეტის საფუძვლებს. კერძოდ:

მეურვეობა წყდება მეურვეობის დადგენისთვის გათვალისწინებული წინაპირობების მოსპობით.

თუ სამზრუნველო პირი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მაშინ მეურვეობა წყდება მხოლოდ მისი საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ გაუქმებით. საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გააუქმოს მეურვეობა, თუ მისთვის ცნობილი გახდება სამეურვეო პირის გარდაცვალების შესახებ. თუ სამეურვეო პირი აღიარებულ იქნება გარდაცვლილად ან მისი გარდაცვალების მომენტი დგინდება „უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ“ კანონის ნორმების შესაბამისად, მაშინ მეურვეობა წყდება გარდაცვლილად აღიარების ან გარდაცვალების მომენტის დადგენის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს ერთპიროვნული მეურვე დაკისრებული მოვალეობებისგან, თუ ამ მოვალეობების შესრულების გაგრძელება - განსაკუთრებით კი, მეურვეზე დაკისრებული მოვალეობებისთვის შეუსაბამო მოქმედების შედეგად - საფრთხეს შეუქმნიდა სამეურვეო პირის ინტერესებს ან თუ სახეზეა მეურვის პიროვნებასთან დაკავშირებული მეურვეობის განხორციელებისთვის შეუსაბამო პირისთვის მითითებული ერთ-ერთი საფუძველი.

საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს ახალგაზრდობის საქმეთა უწყება და კავშირი როგორც მეურვე მათზე დაკისრებული მოვალეობებისაგან და დანიშნოს სხვა მეურვე, თუ ეს ემსახურება სამეურვეო პირის კეთილდღეობასა და

¹ შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "საოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ.). თბილისი: "მერიდიანი". გვ. 386-390

სახეზეა სხვა პირი, რომელსაც შეუძლია მეურვის მოვალეობების განხორციელება. გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ან განცხადების საფუძველზე. განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილია სამეურვეო პირი, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, ისევე როგორც ნებისმიერი პირი, ვინც ახდენს სამეურვეო პირის გამართლებული ინტერესის რეალიზაციას. ახალგაზრდობის საქმეთა უწყებამ ან კავშირმა უნდა განაცხადოს იმ მომენტში, როდესაც ისინი შეიტყობენ 1-ლი ნაწილში მითითებული წინაპირობების არსებობის შესახებ. საოჯახო საქმეთა სასამართლომ გადაწყვეტილების მიიღებამდე უნდა მოუსმინოს ასევე ახალგაზრდობის საქმეთა უწყებას ან კავშირს.¹

თუ მეურვედ დანიშნულია თანამდებობის პირი ან რელიგიური მსახური, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს ისინი დაკისრებული მოვალეობებისაგან, თუ უქმდება ნებართვა, რომელიც ლანდის კანონმდებლობის თანახმად საჭიროა მეურვეობის კისრებისათვის ან თანამდებობაზე ანდა სამსახურში მიღებამდე ნაკისრი მოვალეობების შესრულების გაგრძელებისათვის, ან ხდება ნებართვის გამოთხოვა ანდა ადგილი აქვს მეურვეობის მოვალეობების შესრულების გაგრძელების ლანდის კანონმდებლობით დაშვებულ აკრძალვას.

საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს ერთპიროვნული მეურვე ამ უკანასკნელის განცხადების საფუძველზე, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი; მნიშვნელოვან საფუძველს, კერძოდ, წარმოადგენს იმ გარემოების დადგომა, რომელიც მეურვეს მიანიჭებდა უფლებამოსილებას, უარი ეთქვა მეურვეობის კისრებაზე. საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს ახალგაზრდობის საქმეთა უწყება და კავშირი როგორც მეურვე მათზე დაკისრებული მოვალეობებისაგან, თუ სახეზეა სხვა პირი, რომელსაც შეუძლია მეურვის მოვალეობების განხორციელება და აღნიშნული ზომების მიღება არ ეწინააღმდეგება სამეურვეო პირის კეთილდღეობას. გარდა ამისა, კავშირი უნდა გაათავისუფლდეს

¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB. (მე-2 გ.) (2019 წ.). თბილისი; lawlibrary.info/ge გვ. 455-457

დაკისრებული მოვალეობებისაგან საკუთარი განცხადებით, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი.

ქონების გადაცემა და ანგარიშის წარდგენა თავისი მოვალეობების შეწყვეტის შემდეგ მეურვემ სამეურვეო პირს უნდა გადასცეს მისთვის სამართავად გადაცემული ქონება და მართვის შესახებ წარადგინოს ანგარიში. თუ მან ანგარიში წარუდგინა საოჯახო საქმეთა სასამართლოს, საკმარისია ამ ანგარიშზე მითითება.¹

3.3 მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლები ქართულ და გერმანულ სამართალში

მეურვეობის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლებსაც. კერძოდ 1304-ე მუხლის 1-ლი ნაწილით „მზრუნველობა შეწყდება:

- ა) თუ გარდაიცვალა სამზრუნველო პირი;
- ბ) თუ სამზრუნველო არასრულწლოვანმა მიაღწია სრულწლოვანებას;
- გ) თუ სამზრუნველო არასრულწლოვანი პირი დაქორწინდა;
- დ) სხვა სამზრუნველო პირების მიმართ - თუ მოისპო მიზეზი, რომელმაც გამოიწვია მზრუნველის დანიშვნა“.²

კანონით გათვალისწინებული მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლები თავისი შინაარსით მეურვეობის შეწყვეტისთვის აუცილებელი პირობების ადეკვატურია. სამზრუნველო პირის გარდაცვალება, ბუნებრივია, გამოიწვევს მზრუნველობის შეწყვეტას. მართალია, იგი უდავო საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ

¹ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB. (მე-2 გ.) (2019 წ.). თბილისი; lawlibrary.info/ge გვ. 455-457

² matsne.gov.ge (1997 წ. 26 ივნისი). საქართველოს კანონი "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი". მუხ: 1304; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=105>

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ ფაქტის დაფიქსირება აუცილებელია. თანაც, სიკვდილის მიზეზებზე ყურადღების გამახვილება შეიძლება მზრუნველის საქმიანობის შეფასებასაც დაედოს საფუძვლად. მზრუნველის გარდაცვალება არ გამოიწვევს მზრუნველობის შეწყვეტას. მოხდება მხოლოდ მზრუნველის შეცვლა.

მზრუნველობის შეწყვეტის ყველაზე ლოგიკურ და გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს სამზრუნველო არასრულწლოვანი პირის მიერ თვრამეტი წლის ასაკის მიღწევა. სამზრუნველო ფუნქციებს მშობელი თუ სხვა სპეციალურად დანიშნული მზრუნველი, ბავშვის სრულწლოვანებამდე ასრულებს სავალდებულოდ, იმ გამონაკლისის გარდა, როცა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგაც აუცილებელია პირს მზრუნველი ჰყავდეს. შესაძლებელია მზრუნველობის შეწყვეტა სრულწლოვანების მიღწევამდეც. ეს მაშინ ხდება, როცა არასრულწლოვანი პირი დაქორწინდება. დაქორწინებული არასრულწლოვანი, რადგან სრულ ქმედუნარიანად ითვლება, იგულისხმება, რომ თავის უფლება-მოვალეობებსა და კანონიერ ინტერესებს დამოუკიდებლად დაიცავს.

ასევე მზრუნველობის შეწყვეტის ერთ-ერთ ზემოთ აღნიშნულ საფუძველს წარმოადგენს თუ მოისპო მზრუნველობის დანიშვნის მიზეზი. მაგალითად, მზრუნველობა შეწყდება თუ სასამართლომ გააუქმა ალკოჰოლიკის ან ნარკომანის ქმედუნარიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება და ასეთი პირი აღიარა სრულ ქმედუნარიანად.¹

¹ ჭანტურია, ლ.; ზოიძე, ბ.; ნინიძე, თ.; შენგელია, რ.; ხეცურიანი, ჯ. (2000). "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი V. თბილისი: "სამართალი". გვ. 358-359

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2019 წლის 9 თვის მანძილზე მეურვის/მზრუნველის მოვალეობისაგან განთავისუფლდა და მეურვეობა/მზრუნველობა შეუწყდა 102 პირს.¹

გერმანიის სამოქალაქო კოდექსით მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ დადგენილი სპეციალური მზრუნველობა წყდება მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის შეწყვეტით. ჩასახული ბავშვის მიმართ დადგენილი სპეციალური მზრუნველობა წყდება ბავშვის დაბადებით. ცალკეული საქმეების წარმართვისათვის დადგენილი სპეციალური მზრუნველობა წყდება ამ საქმეების შესრულებით.

საფუძვლების მოსპობის შემთხვევაში სპეციალური მზრუნველობა უნდა გაუქმდეს, თუ მისი დადგენის საფუძველი ისპობა.

უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების მიმართ დადგენილი სპეციალური მზრუნველობა უნდა გაუქმდეს, თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი აღარ არის მოკლებული შესაძლებლობას, აწარმოოს თავისი ქონებრივი საქმეები. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი გარდაიცვლება, მაშინ სპეციალური მზრუნველობა წყდება მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მიერ მისი გაუქმებით. მზრუნველობის საქმეთა სასამართლომ უნდა გააუქმოს სპეციალური მზრუნველობა, თუ მისთვის ცნობილი გახდა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის გარდაცვალების შესახებ. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი აღიარებულ იქნება გარდაცვლილად ან მისი გარდაცვალების მომენტი დადგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის ნორმების თანახმად, მაშინ სპეციალური მზრუნველობა წყდება გარდაცვლილად აღიარების ან გარდაცვალების მომენტის დადგენის შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.²

¹ სოციალური მომსახურების სააგენტო; „სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ მეურვეობა/მზრუნველობის კუთხით განხილული შემთხვევები 2019 წ.“; http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1453

² გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB. (მე-2 გ.) (2019 წ.). თბილისი; lawlibrary.info/ge გვ. 470

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქმედებს სათანადო კანონმდებლობა, რომელიც ზედმიწევნით სრულდება პრაქტიკაში. ასეთი კანონმდებლობის შექმნას და სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება კანონშემოქმედებით პროცესში, ისე სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გაზიარება.

კანონმდებლობისა და არსებული პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანი პირებისა და კანონით განსაზღვრული ქმედუნარო და შეზღუდულ ქმედუნარიანი სრულწლოვანი პირების ინტერესების დაცვისკენ ხდება სხვადასხვა პოზიტიური საკანონმდებლო ნაბიჯების გადადგმა, იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ღონისძიებების სახელმწიფო პოლიტიკური დღის წესრიგის პრიორიტეტად დასახვა სულ რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს.

ნაშრომში წარმოდგენილი საკითხები, თავიანთი აქტუალობიდან გამომდინარე, ნამდვილად მოითხოვს საზოგადოების მეტ ყურადღებას. ერთი შეხედვით წარმოდგენილ კვლევაში განხილული თემები მხოლოდ თეორიული პრობლემებია, თუმცა მათი რეალური მნიშვნელობა კარგად ჩანს ყოველდღიურ რუტინულ პირობებში და იმ მეტად „რთულ“ პრაქტიკაში, რომელიც დღეს თანამედროვე რეალობაში არსებობს.

ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკის კონსტატირება კარგი შესაძლებლობა იყო იმისათვის, რომ უფრო უკეთ შედარებულიყო ქართული გამოცდილება ევროპულთან. ამ შედარებითმა ანალიზმა კი ცალკეულ შემთხვევებში ნათლად გამოკვეთა ის „ხარვეზული საკითხები“, რომლებიც დახვეწას საჭიროებენ. მიგვაჩნია, რომ საკითხები კანონმდებლების ყურადღების მიღმა არ დარჩება და ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება მათ აღმოსაფხვრელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა. (25.02.2016). საქმე Nას-967-916-2015; თბილისი.
2. *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB. (მე-2 გ.)* (2019 წ.). თბილისი; lawlibrary.info/ge

3. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი. "ბავშვის უფლებები". (2000). თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
4. ჭანტურია, ლ.; ზოიძე, ბ.; ნინიძე, თ.; შენგელია, რ.; ხეცურიანი, ჯ. (2000). "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი", წიგნი V. თბილისი: "სამართალი".
5. მეტრეველი, ვ. (2009 წ.). *რომის სამართალი (საფუძვლები)*. თბილისი: მერიდიანი.
6. საქართველოს პარლამენტი. "საინფორმაციო ბარათი კანონპროექტისათვის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „ფსიქო-სოციალური საჭიროებებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“, „სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შექმნის შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და სხვა გამომდინარე კანონებში ცვლილებების შეტანის შესახებ" (07-3/415. 26.02.15).
<http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/30534/qmeduunaro-piris-uflebebi>
7. შენგელია, რ.; შენგელია, ე. (2011). "სოჯახო სამართალი" (თეორია და პრაქტიკა); (მე-2 გამ.). თბილისი: "მერიდიანი".
8. სოციალური მომსახურების სააგენტო, "მეურვეობა/მზრუნველობის დაწესება" (02.06.2019). http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=91&info_id=769
9. matsne.gov.ge (2017 წ. 24 მაისი) საქართველოს კანონი "შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ".
10. ადამიანის უფლებათა ცენტრი. (2010). "ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანთა უფლებები საქართველოში". HRIDC.; <http://humanrights.ge>
11. matsne.gov.ge (1997 წ., 26 ივნისი). საქართველოს კანონი "საქართველოს სამოქალაქო კოდექსი".
12. ფსიქიკური უზნარობის დაცვის ცენტრი (2007). "მეურვეობა და ადამიანის უფლებები საქართველოში" მეურვეობის კანონის და პოლიტიკის ანალიზი. http://www.hridc.org/admin/editor/uploads/files/fsiqiartulebi/Georgia_report_stage_1_Georgian.pdf
13. ჯავახიშვილი, ი. (1928). "ქართული სამართლის ისტორია", წიგნი I. "ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა" http://www.library.court.ge/upload/qasais_I.pdf.

14. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. მეოთხე პერიოდული ანგარიში „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/zzz.pdf>
15. *"ფინეთის მეურვეობის მომსახურების აქტი"*. (2006). თავი 2, სექცია 5.
16. სოციალური მომსახურების სააგენტო; (2019) "სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ მეურვეობა/მზრუნველობის კუთხით განხილული შემთხვევები"; http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1453
17. ადამიანის უფლებათა ცენტრი. (2013). *"საქართველოს ფსიქიატრიული დაწესებულებები - პრობლემები, საჭიროებები, რეკომენდაციები"*. HRIDC.; <http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/fsiziatruli-geo-fuul.pdf>
18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/4/532/533; (08.10.2014). „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
19. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება; (21.11.2018); საქმე N330210017001811158; <http://ecd.court.ge/Decision#!>
20. ჭილაშვილი, ლ. (2016). „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, თბილისი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/188893/1/Disertacia.pdf>